# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 17 მარტი 1995 № 10 (148) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღმერთკაცი მიწაზე ბრუნდება

## 10 მარტს მოხდა ის, რასაც 17 თვე ელოდა მთელი მსოფლიო: მაიკლ ჯორდანმა ოფიციალურად განაცხადა, რომ უბრუნდება კალათბურთს. დაბრუნება 24 მარტს, «ჩიკაგო» – «ორლანდოს» თამაშზე შედგება

თუ რატომ ბრუნდება ჯორდანი, ამაზე კიდევ დიდხანს იმარჩიელებენ ჟურნალისტებიც, სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც. ზუსტად ისევე, მაიკლის წასვლის ამბავს რომ იკვლევდნენ და დღემდე ვერაფერი დაუდგენიათ. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, როცა კალათბურთს ეშხი და ლაზათი უბრუნდება. ისე, აქამდე ჯორდანი სერიოზულად ფიქრობდა კეტბურთელობაზე, „ჩიკაგო ვაით სოქსის" ფარმ-კლუბშიც თამაშობდა და ეროვნულ ლიგაში გამოსვლისთვისაც ემზადებოდა. საბედნიეროდ, ამ ლიგაში გაფიცვა და კალათბურთის ლეგენდას ვერაფრით ელირსა კეტბურთის უმაღლეს დონეზე ასპარეზობა. ჰოდა, ჯორდანმაც მიაფურთხა კეტბურთს და ისევ კალათბურთი არჩია. გენიოსებს ხომ უმოქმედობა არ შეუძლიათ.

ამ გადაწყვეტილებამ ალაფრთოვანა მთელი ამერიკა. გულშემატკივრებს ისევე ადგებათ თვალზე ცრემლი, როგორც 17 თვის წინ. „ჩიკაგო ბულზის" მწვრთნელს ფილ ჯექსონს ისე გახარებია, გაოგნებისგან ფაქტს კომენტარიც ვერ გაუკეთა, ისლა თქვა, ნუთუ NBA-ის სამგზის ჩემპიონი, სამგზის უძვირფასესი მოთამაშე და 7- გზის საუკეთესო ბომბარდირი კვლავ ჩემს გუნდში იქნებაო?

ისე, ჯორდანის წასვლამ დაამტკიცა, რომ მის გარეშე „ჩიკაგო" საშუალო დონის გუნდი თუა და ასოციაციის სამგზის ჩემპიონობა მხოლოდ და მხოლოდ პირადად მისი, მაიკლ ჯორდანის მოგებული იყო და არა „ბულზისა".

საქმეში ჩარეულია შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონიც, რომელიც ამ ბოლო დროს შანსს არ უშვებს, ამერიკულ სპორტში მიმდინარე სასიკეთო მოვლენები მომავალისაარჩევნო კამპანიისთვის არ გამოიყენოს. პრეზიდენტის საშინაო-ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, შტატებში 6 მილიონ 100 ათასი ახალი სამუშაო ადგილი გაჩენილა. ჯორდანის დაბრუნება რომ შეიტყო, კლინტონმა ბრძანა: „ძალიან კარგია, რომ ასე მოხდა. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ 6 მილიონ 100 ათას ერთი ახალი სამუშაო ადგილი შევქმენი".

ღმერთკაცი კი ყოველივე ამას ყურს არ უგდებს. თავის დროზე მან პრეზიდენტი ბუშიც არ დააფასა და თეთრ სახლში არ ეწვია ბარსელონის ოლიმპიადის ოქროს მედლის მისაღებად. ამიერიდან მის თავში ერთადერთი რამ იტრიალებს: „კალათბურთი". ამ კვირაში ჯორდანმა უკვე ორჯერ ივარჯიშა „ჩიკაგოსთან" ერთად.




DIARIO POPULAR

**ხვალ, 15 საათზე, ეროვნულ სტადიონზე ჩვენი საფეხბურთო სეზონის ლიდერები საპასუხო სათასო შეხვედრას გამართავენ. „სამტრედიას" ორგაფრთხილებიანი ზაზა ჯანაშია დააკლდება, „დინამოს" კი ორგზურთიანი სხვაობის გაგათილებაში შეეშველება „ბოკა ხუნიორსიდან" მობრუნებული გიორგი ქინქლაძე, რომელიც „დიარიო პოპულარმა" არგენტინაში ჩასვლისთანავე პირველ გვერდზე გამოჭიმა. უკან გამობრუნების მიზეზი თავად გიორგიმ აგვიხსნა:**

# ჯერ საქართველოს ვჭირდები!

— როცა მარზოლინიმ გაიგო, რომ ჩვენი კონტრაქტის ოთხი თვის მანძილზე სამჯერ მიწევდა საქართველოს ნაკრების თამაშზე ჩასვლა, ხელები გაასავსავა, 25 მარტს ვთამაშობთ და ვერ გაგიშვებო. ვუთხარი, რომ არ არსებობს ძალა, რომელიც ხელს შემიშლის 29 მარტს საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ-მეთქი. არგენტინელებმა გამოიანგარიშეს, რომ ოთხი თვიდან ერთი მარტო თვითმფრინავით მგზავრობაში დამეხარჯებოდა და კონტრაქტიც არ შედგა.

იხილეთ მეორე გვერდი

# ევროტურნირები

მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

### ჩემპიონთა თასი. 15 მარტი

„პსჟ" საფრანგეთი — „ბარსელონა" ესპანეთი 2:1 (1:1)
0:1 ბაკერო (50), 1:1 რაი (73), 2:1 გერენი (83)

„ბენფიკა" პორტუგალია — „მილანი" იტალია 0:0(0:2)

„აიაქსი" ჰოლანდია — „ჰაიდუკი" ხორვატია 3:0 (0:0)
1:0 კანუ (39), 2:0, 3:0 ფ. დე ბური (44, 68)

„გიოტებორგი" შვედეთი—„ბაიერნი" გერმანია 2:2(0:0)

ნახევარფინალი: „პარი სენ-ჟერმენი" — „მილანი", „ბაიერნი" — „აიაქსი"

### უეფას თასი. 14 მარტი

„იუვენტუსი" იტალია—„აინტრახტი" გერმანია 3:0 (1:1)

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, პორინი, ფუზი (ტორიჩელი 46), კოლერი, დეშამი, მაროკი (იარნი 85), კონტე, დელ პიერო, ბაჯო, რავანელი

აინტრახტი: კეპკე, ბინდევალდი, ლეგატი, როტი, ბინცი, ფალკენმაიერი, ფლიკი (ბეკერი 72), დიკჰაუტი, ფურტოკი, ვებერი, ოკოჩა (სობოციკი 83)

პირველ ტაიმში სტუმრები ოდნავ სჯობდნენ იტალიის ჩემპიონატის ლიდერს და სამჯერ შეეძლოთ კიდეც დაწინაურება, მაგრამ ფურტოკმა ვერაფერი მოუხერხა პერუცის. შესვენებაზე კი „იუვეს" მწვრთნელმა საჭირო შეცვლა მოახდინა — მარცხენა მცველი ფუზი, რომლის ფრთიდანაც ხშირად იქმნებოდა ხიფათი, ტორიჩელით შეცვალა და მასპინძელთა დაცვაც ჩვეულად ამოქმედდა, თან ცნობილი მეცნიერის მოგვარე შეტევამიც ხშირად ერთვებოდა და გერმანელთა დაცვას თავსატეხი მოემატა. ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა: 76-ე წუთზე დეშამი-დელ პიერო-კონტეს უზადო კომბინაცია უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დამთავრდა. აქ „აინტრახტი" უკვე ავანტიურაზე წავიდა, მაგრამ... ჰაინკესმა ოკოჩა გამოცვალა. ნიგერიელი ვერ იჯერებდა, რომ სწორედ მას უნდა დაეტოვებინა მოედანი და მხოლოდ კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ ბუზღუნ-ბურდღუნით გავიდა. „აინტრახტს" ლამის ერთადერთი სერიოზული ძალა მოაკლდა და ტურინელებმაც უმალ იხეირეს: ორი კონტრშეტევა გოლებით დააგვირგვინეს. 86-ე წუთზე რავანელიმ ციათი ცხრიანში გააზვია ბურთი, ბოლო წუთზე კი ბაჯოს პასი დელ პიერომ გამოიყენა. რაც შეეხება ცხადაძეს, ის მხოლოდ სათადარიგოთა სიაში იყო.

„ბორუსია" დორტმუნდი — „ლაციო" იტალია 2:0 (0:1)

ბორუსია: კლოსი, კრეე, შმიდტი, ფროინდი, ჟულიო სეზარი, ზამერი, როიტერი, ტრეჩოკი, შაპუიზა, მიოლერი, რიდლე.

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, შამოტი, დი მატეო, ბერგოდი, კრავერო, რამბაუდი, ფუზერი, ბოკშიჩი, ვინტერი, კაზირაგი.

ბუნდესლიგის ჩემპიონობასთან ერთად „ბორუსია" უეფას თასსაც უმიზნებს და სამშაბათს მან კვლავ „ამოქაჩა" სტუმრად წაგება. მეათე წუთზე შაპუიზას შორეული დარტყმა ცუდად მოიგერია მარკეჯანიმ და სხვა ალარაფერი რომ არ დარჩა, წააქცია რიდლე, ვისაც ბურთი მიუვიდა. პენალტი შაპუიზამ დაარტყა, მართალია, „ლაციოს" მეკარე მიუხვდა შვეიცარიელს და ბურთს ხელიც გაარტყა, გოლი მაინც გავიდა. ამის მერე თამაში რატომღაც დაწყნარდა და ყველაზე აქტიურად უნგრელი მსაჯი ვაგნერი ირჯებოდა: მან ჯერ ბოკშიჩი, კაზირაგი, ფროინდი, შმიდტი, შამოტი, დი მატეო და ფუზერი გააფრთხილა, ბოლო წუთზე კი არგენტინელი შამოტი გააძევა. სანამ სტუმარმა მოედანი დატოვა, კიდევ ერთი წუთი გავიდა, ჯარიმა შაპუიზამ ჩააწოდა, რიდლემ თავი დაუხვედრა, ბურთი რომელიღაც რომაელს მოხვდა და „ბორუსიის" შემდეგ წრეში გასვლის მაუწყებელი გოლიც გავიდა. სტადიონზე შეკრებილმა 35 800 კაცმა უზომოდ გაიხარა.

„ოდენსე" დანია — „პარმა" იტალია 0:0 (0:1)

ოდენსე: ჰოგი, ბისგაარდი, მ. ჰემინგსენი, ი. ჰანსენი, შიონბერგი, გ. ჰემინგსენი, მელვანგი, სანგილდი, ო. ჰანსენი, პედერსენი (ნილსენი 67), ტორუპი.

პარმა: ბუჩი, ბენარივო, დი კიარა, მინოტი, აპოლონი, კოუტუ, პინი, სენსინი, გრიპა, ძოლა, ბრანკა (დ. ბაჯო 73).

13 ათასი მაყურებელი მორიგი სენსაციის იმედად იყო, მაგრამ „პარმამ" არ გაიზიარა „რეალისა" და „კაიზერსლაუტერნის" ბედი, თუმცა ასპრილია არა ჰყავდა. ორივე გუნდს შეეძლო გოლის გატანა, ბოლო ათმა წუთმა კი „ოდენსეს" გააფთრებულ შეტევებში ჩაიარა. სწორედ ამ დროს შეიქმნა მატჩის ყველაზე სახიფათო მომენტი, მაგრამ ბუჩისთან პირისპირ გასულმა 27 წლის მცველმა მიქაელ ჰემინგსენმა ისტორიული შანსი ვერ გამოიყენა.

„ნანტი" საფრანგეთი—„ბაიერი" ლევერკუზენი 0:0 (1:5)

### თასების თასი. 14 მარტი

„ჩელსი" ინგლისი — „ბრიუგე" ბელგია 2:0 (0:1)

ლონდონელებმა პირველივე ტაიმში მიაღწიეს სასურველ შედეგს, როცა სმიტმა და ფურლონგმა ორჯერ აიღეს სტუმართა კარი.

დანარჩენი სამი თამაში წუხელ გაიმართა.

**1,5:5,5** ასეთი ანგარიშით დამარცხდა მაია ჩიბურდანიძე ჟუჟა პოლგართან.

## საქართველოს ჩემპიონატი

XVI ტური. 14 მარტი

### კახეთი 1:1 კოლხეთი

კახეთი: ჩლაიძე, დოლიძე, კაციტაძე, სანადირაძე, სოლოღაშვილი, მაისურაძე, ბაკურაძე, ხორხელი, კალუჟა, ცქიფურიშვილი (შონია 58)

კოლხეთი 1913: გვასალია, ქუნთელია, კაკაჩია, დანელია, ინიაშვილი, ლალანიძე, თიბილაშვილი (მახარაძე 78), ტორჩინავა, გიორგაძე, დარასელია, ბულუხია.

0:1 (ტორჩინავა 5), 1:1 (ბაკურაძე 72)

გაფრთხილება: ბაკურაძე, გიორგაძე

მსაჯი: მ. კობიაშვილი

14 მარტს თელავში, გივი ჩოხელის სახელობის სტადიონზე მოსული სტუმრებიც და მასპინძლებიც მძიმე სურათისა და ვითარების მოწმენი შეიქნენ. პირველი და ერთობ უსიამოვნო ეს იყო: თოვლ-ჭყაპი, ქარი, ბურუსი... მეორე მოულოდნელობა — სათამაშოდ გამზადებულ ფოთელებს კარგა ხანს მოუხდათ ავტობუსში სხდომა და ცდა, რადგან ხმა დაირხა, თელაველი ფეხბურთელები სათამაშოდ არ გამოდიანო. გულშემატკივრებს და „კახეთის" ხელმძღვანელობას ნერვიულობა ეტყობოდათ. როცა ამ საჩოთირო ვითარების მიზეზი ვკითხე, ფინანსური პრობლემებიაო, მითხრეს. ბიჭებს თურმე რამდენიმე თვეა ხელფასი არ მიეღოთ. სამიოდე დღის წინ შეკრებილი გუნდი ზედ თამაშის პირზე იშლებოდა. მალე ქალაქის ხელმძღვანელობაც გამოჩნდა. უცბად მოილაპარაკეს, მოთამაშეები დააიმედეს, უკვე სტადიონს გაცლენილი და შინ წასასვლელად გამზადებული ფეხბურთელები უკან მოაბრუნეს და მატჩიც დაიწყო.

მჭიდრო, უხეშობის ზღვრამდე მისული თამაში, თანაც ასეთ ავდარში, ვერაფერიშვილი სანახაობა იყო. მეხუთე წუთზე გიორგაძის წაქცევისთვის კუთხურის ხაზთან დანიშნული ჯარიმა ტორჩინავამ დათუნაშვილის სტილში ჩაახვია მეკარისგან მარჯვენა ცხრიანში. ამის მერე თამაში უფრო გაუხეშდა, ორივე გუნდის ექიმები ფეხბურთელებზე ნაკლებს როდი დარბოდნენ მინდორზე, უფრო ხშირად ფოთელთა ექიმი საქმიანობდა. პირველი ტაიმის შუაწელში მოედანზე ისეთი ბურუსი ჩამოწვა, მსაჯმა კინაღამ თამაში შეწყვიტა, მაგრამ ბუნებამ ბოლოს მაინც დაგვინდო.

მეორე ნახევარში თელაველებმა იერიშებს უხშირეს, მაგრამ ფოთელთა დაცვის ხაზი ბადრი დანელიას მეთაურობით შეუპოვრად მოქმედებდა. სტუმართა მცველები მხოლოდ ერთხელ შეცდნენ და აკი გაუთვალისწინებელი გოლიც მიიღეს: 72-ე წუთზე ფოთელთა კონტრშეტევა ჩაჭრა კაციტაძემ, ბურთი მეორე ტაიმში ჩინებულად მოთამაშე მაისურაძეს გადასცა, აქან კი გარღვევაზე გაიყვანა უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბაკურაძე, რომელმაც საჯარიმოს სიახლოვიდან ბურთი ცხრიანში გაგზავნა.

მატჩის შემდეგ გავესაუბრე მთავარ მწვრთნელებს.

თემურ მახარაძე, „კახეთი": მძიმე თამაში გამოდგა, ჩვენი ფინანსური პრობლემების გამო კინაღამ ჩაიშალა კიდეც, მაგრამ ბიჭების დიდი მადლობელი ვარ, ვაჟკაცურად მოიქცნენ. გუნდი ორიოდე დღის შეკრებილია და მეტის მოთხოვნა ნამდვილად უსინდისობა იქნებოდა. მსაჯობას დამაკმაყოფილებლად ვაფასებ.

სოსო ფილია, „კოლხეთი": გოროზია, კიკლიაშვილი, მახარაძე, მიქაბერიძე, გიგატაძე ვერ ვათამაშეთ, ჯერ ტრავმები არ მოშუშებიათ. ბიჭებს მეტი შეეძლოთ. თელაველებმა კარგად ითამაშეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გუნდი სულ რაღაც ორი დღის შეკრებილია. ვერც ჩვენ მოვემზადეთ ისე, როგორც საჭირო იყო. „კოლხეთი" აუცილებლად სამეულში მოსახვედრად იბრძოლებს. მსაჯობით კმაყოფილი ვარ.

მამუკა კვანტალიანი

სხვა მატჩები: დურუჯი — დინამო 0:3, მეტალურგი — შევარდენი 1906 0:0, დილა — მარგვეთი 0:2, ივერია — გურია 5:0, სამგურალი — ტორპედო 2:1, საპოვნელა — სამტრედია 1:3, ზუგდიდი — ბათუმი 3:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 16 | 14 | 1 | 1 | 45-12 | 43 |
| დინამო | 16 | 13 | 2 | 1 | 70-18 | 41 |
| კოლხეთი | 16 | 12 | 1 | 3 | 38-14 | 37 |
| ბათუმი | 16 | 10 | 2 | 4 | 41-21 | 32 |
| ტორპედო | 16 | 8 | 1 | 7 | 26-24 | 25 |
| მეტალურგი | 16 | 7 | 4 | 5 | 21-16 | 25 |
| გურია | 16 | 6 | 4 | 6 | 25-37 | 22 |
| დილა | 16 | 6 | 4 | 6 | 13-16 | 22 |
| კახეთი | 16 | 4 | 6 | 6 | 22-27 | 18 |
| ივერია | 16 | 5 | 2 | 9 | 2?-27 | 17 |
| შევარდენი | 16 | 4 | 5 | 7 | 17-20 | 17 |
| დურუჯი | 16 | 5 | 1 | 10 | 19-42 | 16 |
| ზუგდიდი | 16 | 4 | 3 | 9 | 29-35 | 15 |
| მარგვეთი | 16 | 4 | 3 | 9 | 12-36 | 15 |
| საპოვნელა | 16 | 3 | 2 | 11 | 16-42 | 11 |
| სამგურალი | 16 | 1 | 3 | 12 | 12-42 | 6 |

მე-17 ტური — 18 მარტს. დინამო — კოლხეთი 1913 გადადებულია

# ჯერ საქართველოს ვჭირდები!

დასაწყისი პირველ გვერდზე

— გიორგი, ესპანეთით დავიწყოთ...

— მადრიდში ერთი კვირა დავყავით. „ატლეტიკოს" ფარმ-კლუბის და ერთი ადგილობრივი გუნდის შეხვედრაში მე და ჯამარაულმა ერთმანეთის წინააღმდეგ ვითამაშეთ. გოჩამ ოცდახუთი მეტრიდან გაიტანა გოლი, მე კი საჯარიმოში წამაქციეს, პენალტი მწვრთნელის მითითებით მევე დავარტყი და გავიტანე. სანამ არგენტინას გავემგზავრებოდი, „ატლეტიკოსთან" კიდევ ორჯერ ვივარჯიშე. არგენტინაში წასვლა რომ გადაწყდა, ავღელდი — მარადონას ქვეყანაში მივდიოდი. იქ მე და ხოსე მარია ოტერო გავემგზავრეთ.

აქედან პალტოთი წავედი, არგენტინაში კი ოცდაათი გრადუსი სიცხე დამხვდა. როცა ჩემი ფოტო გაზეთში დაბეჭდეს, ისიც მიაწერეს, ამ სიცხეში პალტო აცვიაო. ჩასვლისთანავე ჩვენი ნაკრების ბულგარეთთან და უელსთან ნათამაშები მატჩების ვიდეოკასეტები მაჩვენეს.

— „ხუნიორსში" საქმეში თუ გაგსინჯეს?

— მარზოლინიმ ძირითად გუნდში მათამაშა სათადარიგო შემადგენლობის წინააღმდეგ. მატჩი მთავრდებოდა, 2:2 იყო, როდესაც მარჯვნიდან შევიჭერი საჯარიმოში და გოლიც გავიტანე.

— თანაგუნდელების გაცნობა მოასწარი?

— „ბოკაში" ძალიან კარგი ბიჭები არიან, თბილი და გულღია. სახელებიც არ ვიცოდი მათი ხეირიანად, რომ შემომთავაზეს, ვარჯიშის მერე მანქანით გაგიყვანთ სასტუმრომდეო. სამ-ოთხ ფეხბურთელს დავუახლოვდი კიდეც, საყველპურო ესპანურიც ვისწავლე. ჩემს გარდა უცხოელი კამერუნელი ალფონს ჩამი იყო.

— გამხდარი მეჩვენები...

— არგენტინაში დიდი ფიზიკური დატვირთვებია. ისეთი არა, როგორიც ესპანეთში, მაგრამ ჩვენსას ვერც შევადარებ. ახლა სამოცდაორი კილო ვარ, სათამაშო წონას ხუთი-ექვსი კილოგრამი მიკლია.

— „რასინგმა" ჯამარაულისა და ყაველაშვილის ნაცვლად ვინმე ცნობილი ევროპელი ფეხბურთელი ხომ არ აიყვანა?

— არა, ორი ახალგაზრდა არგენტინელი დაიმატეს. „რეასინგში" ასეა — რასაც მარადონა იტყვის — კანონია.

— მარადონას ხომ არ გადაყრიხარ?

— მე და ოტერო რესტორანში ვისხედით. უცებ, კარი გაიღო და დიეგო შემოვიდა. ვუთხარი კიდეც ოტეროს, ეს კაცი ჩემი კერპი იყო-მეთქი.

— შენს იქ ყოფნაში რამდენი მატჩი ითამაშა „ბოკამ"?

— ორი, ერთი შინ, ერთიც სტუმრად და ორივე 2:0 მოიგო ძალიან მინდოდა „რივერ პლეიტის" თამაშის ყურება, იქ ხომ ენცო ფრანჩესკოლი თამაშობს, მაგრამ ვერ მოვახერხე.

7 მარტს უკვე მადრიდში ვიყავი. პირდაპირ „რეალში" მივედით და სამი დღე ვალდანოსთან ვივარჯიშე. იგი ძალზე კმაყოფილი დარჩა, შევთანხმდით, რომ როდესაც 31 მაისს საქართველოს ჩემპიონატი დამთავრდება, ოტერო ჩამოვა თბილისში და მადრიდში წამიყვანს. მოსამზადებელ პერიოდს „რეალში" გავივლი, სეზონის წინ კი საბოლოოდ გაირკვევა კონტრაქტის საკითხიც. მე კი მანამდე ესპანურის მასწავლებელთან დავიწყებ სიარულს.

— „რეალში" ძირითადში გავარჯიშეს?

— ძირითადი შემადგენლობა ისვენებდა, რადგან წინადღეს ეთამაშათ. 16 სათადარიგოსთან ერთად ვივარჯიშე. ჩემს წინააღმდეგ იყვნენ ბუტრაგენიო, ვასკესი, რედონდო, ნანდო. ერთხელ ბუტრაგენიოს მხარი ჩავუდგი — კინაღამ მაისური შემომახია და ტანზეც გვარიანად გამკაწრა, როგორც გავიგე, მას კარგა ხანია ძირითადში არ უთამაშია, მაგრამ „რეალიდან" მაინც არ მიდის: დიდ ფულს უხდიან.

— „დინამოს" სულზე ჩამოუსწარი. 18 მარტს „სამტრედიასთან" მატჩი გელით...

— რადგან ჩამოვედი, ყველაფერი უნდა გავაკეთო საიმისოდ, რომ „დინამო" ჩემპიონიც გახდეს და თასიც მოიპოვოს.

— 29 მარტის თამაშზე რას ფიქრობ?

— არგენტინაში მაგ თამაშის გამო არ დავრჩი. ხომ წარმოგიდგენია, რას ნიშნავს იგი ჩემთვის. პროგნოზს კი ვერ გეტყვი.

# მაინც დონ-კიხოტი ვარ!

**ერთი თვის წინ სამი ქართველი ფეხბურთელი და „დინამოს" პრეზიდენტი ესპანეთს გაემგზავრნენ. ამ ოთხეულის შესახებ რას აღარ გაიგებდით, ყველაზე კომიკური კი ის იყო, რომ მათ ამბებს ძირითადად „სპორტ ექსპრესიდან" თუ ვიგებდით. ბოლოსდაბოლოს, ოთხივენი, სხვადასხვა დროს, შინ დაბრუნდნენ. მერაბ ჟორდანიასთან ინტერვიუ ალბათ ყველა გულშემატკივარს დააინტერესებს .**



— მოსკოვურ ფირმა „მოსპროფსპორტს" ჩემი მეგობარი ვლადიმერ ბენიაშვილი ხელმძღვანელობს. იგი თან „რუსეთ-ესპანეთის სახლის" ხელმძღვანელია რუსეთის მხრიდან. ესპანელთა მხრიდან კი წარმომადგენელი მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტ ხესუს ხილის შვილია...

ესპანეთში ტრანსფერების ვადა ამოწურულია. სამწუხაროდ, ყაველაშვილი მოუშუშებელი ტრავმით წავიყვანეთ და იგი საქმეში არ უნახავთ. ქინქლაძე და ჯამარაული მათი ფარმ-კლუბისა და ერთი ადგილობრივი გუნდის საჩვენებელ მატჩში გასინჯეს. ორივემ ბრწყინვალედ ითამაშა, მატჩს რამდენიმე გუნდის წარმომადგენელი ესწრებოდა, მათ შორის არგენტინელი ემისარი ხოსე მარია ოტერო. მან მხოლოდ თხუთმეტ წუთს უყურა თამაშს და სადღაც გაქრა. თურმე სასწრაფოდ არგენტინაში დაურეკია და ქინქლაძის „ბოკა ხუნიორსში", ჯამარაულისა და საქმეში უნახავი ყაველაშვილის კი „რასინგში" (მარადონა რომ წვრთნის) გადასვლა შემოგვთავაზა. მალევე მოვაგვარეთ ყველა ფორმალური საკითხი და „დინამოს" საქმეებზე გერმანიაში გავფრინდი. მეორე დღეს კი გაირკვა, რომ მარადონას ორი ფეხბურთელი უკვე აეყვანა „რესინგში" და ჯამარაულს და ყაველაშვილს შინ მოუწიათ გამომგზავრება. ჩვენი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ბიჭები კვლავ ესპანეთს გაემგზავრებიან.

— „ატლეტიკოს" პრეზიდენტისგან ხომ არ გადაგედოთ მწვრთნელთა ხშირი ცვლა...

— მერამდენედ მიხდება იმის გამეორება, რომ ყველაფრის ლაწერა, რაც კლუბის სამზარეულოში ხდება, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. მე კუტივაძე დღესაც ჩემს უფროს მეგობრად მიმაჩნია და არ ვიკადრებ მის ზურგსუკან ლაპარაკს.

— რამდენად მართალია, გუნდში მთავარ მწვრთნელად დავით ყიფიანი მოდისო?

— ყიფიანს წინასწარ უკვე ველაპარაკეთ და თანხმობა განაცხადა, თუმცა ყველაფერი მისი თბილისში ჩამოსვლისა და ჩვენთან უფრო დაწვრილებით მსჯელობა-მოლაპარაკების შემდეგ გაირკვევა.

— ამასობაში კი გუნდს უმნიშვნელოვანესი თამაშები ელის. ყიფიანის კვალიფიკაციაში ეჭვი კი არ მეპარება, მაგრამ, დამეთანხმებით, ძალზე ძნელია საწვრთნელი შეკრების გარეშე, შუა სეზონში მოსულმა მწვრთნელმა ჩემპიონობაც მოიპოვოს და თასიც. ვთქვათ და, ვერცერთი ვერ მოიპოვეთ?

— არ არის გამორიცხული, ასეც მოხდეს. ჩვენ წილ პასუხისმგებლობას ამ შემთხვევაში ვერ მოვიხსნით, მაგრამ ბევრი რამეა გასათვალისწინებელი: წამყვან მოთამაშეთა საზღვარგარეთ წასვლა, მწვრთნელთა ცვლა, გუნდის გაახალგაზრდავება და სხვა. რაც უნდა მოხდეს, ტრაგედიას არ შევქმნით, რადგან ჩვენი ძირითადი მიზანი ძლიერი ფეხბურთელების აღზრდაა საქართველოსთვის. ისე, მე მაინც მჯერა, რომ რაც უნდა ძლიერი იყოს „სამტრედია", მას ჯერჯერობით „დინამოს" ძლევა არ შეუძლია. ჩვენ გვყავს ყაველაშვილი, ჯამარაული, ანჩაბაძე, ქინქლაძეც დაგვემატება. ამათ სათითაოდ შეუძლიათ თამაშის მოგება.

— არ ფიქრობთ, რომ თქვენი ზედმეტი ლიბერალობით გუნდის საქმე ზარალდება. ხომ არ არის დრო, „დინამოს" პრეზიდენტმა „რკინის ხელის" პოლიტიკა ირჩიოს?

— ვფიქრობ, უკვე მოვიდა ამის დრო.

— „სამტრედიამ" ზედიზედ ორჯერ მოგიგოთ პირწმინდად. ხომ არ ჩამოგიყალიბდათ ამ გუნდის ერთგვარი კომპლექსი?

— არა მგონია და ამას 18 მარტს დავამტკიცებთ.

— ახლა პირველ მეოთხედფინალზე. გულშემატკივრებში მოარულ ჭორს თუ დავუჯერებთ, სამტრედიელთა გრიპი შელიასა და რევიშვილის 6 მარტის მატჩში შესაძლო თამაშს გამოუწვევია...

— სამტრედიაში ვესაუბრე გუნდის მთავარ მწვრთნელს მურთაზ ხურცილავას, რომელმაც დაადასტურა ვირუსის ფაქტი. მე მჯერა ხურცილავასი

— შელიამ და რევიშვილმა ხომ მოაწერეს ხელი კონტრაქტს ვლადიკავკაზის „სპარტაკთან"?

— კონტრაქტი ძალაში 1 აპრილიდან შედის და ფიფას წესებით ჩვენ გვქონდა მათი გამოყვანის უფლება.

— თქვენი აზრით, მაინც რამ გამოიწვია მარცხი პირველ მეოთხედფინალურ მატჩში?

— მიზეზი ბევრია. მე გუნდს თურქეთში არ ვახლდი და, ეტყობა, შეკრება მთლად ნაყოფიერი ვერ იყო, რადგან სამტრედიელები ფიზიკურად აშკარად ჩვენზე უკეთ გამოიყურებოდნენ. მწვრთნელის შეცვლამაც ითამაშა თავისი როლი, უხარისხო მინდორმაც, მაგრამ მთავარი დამნაშავეები მაინც ჩვენ ვართ. სამტრედიელთა ჟინი და მონდომება კი მართლაც სამაგალითოა.

ჩვენი დღევანდელი ყოფა, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ვაჟას დაჭრილი არწივისას შეიძლება შევადაროთ, თუმცა ჭრილობა არც ისე საშიშია, შეხორცდება.

— რას ემყარება თქვენი ოპტიმიზმი საპასუხო მატჩის წინ?

— არაა გამორიცხული, ამ თამაშზე გუნდი ახალმა მწვრთნელმა გამოიყვანოს. ფიზიკურადაც უკეთ ვიქნებით მომზადებული. ამას დაუმატეთ კარგი მინდორი, სადაც ჩვენი ტექნიკური უპირატესობა ნათლად გამოჩნდება. ქინქლაძეც ითამაშებს...

— მოსკოვში, ჩემპიონთა თასზე ასპარეზობისას თქვენ და ჟვანიამ გამოთქვით აზრი, ყოფილ სსრკ ჩემპიონებს შორის ახალი ტურნირი გაიმართოსო...

— ეროვნული ჩემპიონატის დაკნინების ხარჯზე როდი გვიფიქრია ამ ტურნირის გამართვა. ჩვენ გამოვთქვით აზრი, რომ კარგი იქნება, თუ შეჯიბრება გაიმართებოდა შესვენებისას და მას ტურნირის და არა ჩემპიონატის სახე მიეცემოდა. რა ბედი ეწია იდეას, არ ვიცი.

— დღევანდელი თექვსმეტგუნდიანი უმაღლესი დივიზიონი იდეალურად მიგაჩნიათ თუ სხვა აზრი გაქვთ ამის თაობაზე?

— ჩემი აზრით, საქართველოსთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა 10 გუნდიანი უმაღლესი დივიზიონი ოთხ წრედ. ეს იმდენად მომგებიანია ქართული ფეხბურთისთვის, რომ ზედმეტადაც მიმაჩნია მის სიკეთეზე საუბარი.

— ხომ არ ეცდება „დინამოს" პრეზიდენტი კიდევ ერთხელ შეკრიბოს თავისი „ოცნების გუნდი"?

— შევეცდები, თუმცა, მართალი გითხრათ, ჩემი მოქმედება დონ კიხოტისას მაგონებს. ვიცი, რომ შეუძლებელია უახლოეს 3-4 წელიწადში ამ გუნდის შეკრება და მაინც არ ვიშლი ჩემსას. არადა, დადგა დრო გუნდის გაახალგაზრდავებისა. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის ყოლას.

— ამბობენ, შესაძლოა, ყიზილაშვილი და ცხადაძე „დინამოში" დაბრუნდნენო?

— მე ორივეს ტელეფონით ვესაუბრე და თუ „დინამო" ჩემპიონთა ლიგაში დაუშვეს, უფრო სერიოზულად ვიფიქრებ ამ საკითხზე.

მამუკა კვარაცხელია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ პირველი ჯგუფის გუნდებს შემდეგი ფეხბურთელების დამატების ნება დართო:

დინამო: მამუკა მაჭავარიანი (კოლხეთი), დავით გვარამაძე (კახეთი), დავით მუჯირი (წელს არ უთამაშია)

ბათუმი: ალექსანდრე კანტიძე, გოჩა ჟულეჯიშვილი (გურია), კუკური ჩხაიძე

შევარდენი: მიხეილ კალმახელიძე (გვარდია), კახა გოგოლაძე (გურია), ლევან თოლორდავა (დურუჯი), გიორგი მილაკაძე, ალექსანდრე გოგიბერიშვილი, (35-ე სკოლა), მამუკა აბუსერიძე

მარგვეთი: ნოდარ კოკნაძე (კრწანისი)

ივერია: დავით იობაშვილი, გოჩა ჩიბაშვილი (ალაზანი), სოსო მალანია

მეტალურგი: გივი ქველაძე (დინამო), ლევან ქებაძე (ჭაბუკიანი), გუბაზ დოლიძე (აზოტი)

ზუგდიდი: ზაზა აფაქიძე, ზვიად ქაძანაია, ზაზა გვიჩია

საპოვნელა: რამაზ გურაბანიძე, ტრისტან ლილუაშვილი

სამგურალი: კახა ჩხეტიანი, მიხეილ აშვეთია (რწმენა), გოჩა ჩიხლაძე (მარგვეთი), გრიგოლ თევზაძე, კახა ჯანაშია

კახეთი: ნგურამ ჩიქვინიძე (არაგვი), ავთანდილ ხორხელი, თემურ ჩლაიძე

## საქართველოს თასი

მეოთხედფინალი

პირველი მატჩები.
6 მარტი

### ზუგდიდი 4:1 გურია

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, ჯაბუა, გაბისონია, კვარაცხელია, კუტალია, დარასელია, ქაძანაია, აფაქიძე (გაბედავა 63)

გურია: კუნჭულია, კოროტკოვი, ბურდული, კუკუკლაძე, ბუცურეიშვილი, ქიქავა, კვინტრაძე, განიევი, პატარაია, გამცემლიძე, სიხარულიძე

1:0 გაბისონია (16), 2:0 გაბისონია (26 პ), 2:1 კვინტრაძე (49), 3:1 ქაძანაია (9), 4:1 ქაძანაია (88)

გაძევება: კუკულაძე (29)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### ქიზიყი 2:6 მეტალურგი

ქიზიყი (წნორი): ზურიკო ხუციშვილი, ტეფნაძე, გ. შაიშმელაშვილი, ხოხონიშვილი, შ. შაიშმელაშვილი, ყანჩაშვილი (კაკაშვილი 57), შალვაშვილი, ტილკავაშვილი, მოსიაშვილი, ზურაბ ხუციშვილი

მეტალურგი: კოროშინაძე, ფოფხაძე, ბურნაძე, ქველაძე, კობიაშვილი (პერტია 57), ვ. კილასონია, ტარტარაშვილი, გ. კილასონია, ყაველაშვილი, მეტრეველი, ალადაშვილი (გახოკიძე 65)

0:1 მეტრეველი (30), 0:2 ვ. კილასონია (45), 0:3 ალადაშვილი (53), 0:4 მეტრეველი (64), 0:5 ვ. კილასონია (66), 0:6 პერტია (79), 1:6 ზურაბ ხუციშვილი (84), 2:6 შ. შაიშმელაშვილი (87 პ)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### ბათუმი 3:1 საპოვნელა

ბათუმი: ბალაძე, ფუტკარაძე, შანიძე, სიჭინავა (ხოშერიკი 46), შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში, უჯმაჯურიძე (გოგიტიძე 73), ამბიძე

საპოვნელა: თევზაძე, ჭელიძე, გეწაძე, კუხიანიძე, ხვარეშია, უკლება, გურაბანიძე, ბუნტური, ჩინჩალაძე (ლილუაშვილი 80), ახვლედიანი, ხურცილავა

1:0 ტულუში (49), 2:0 თორლაშვილი (60), 3:0 მაჭუტაძე (67), 3:1 ბუნტური (87)

გაფრთხილება: ბუნტური

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

10 მარტი

### სამტრედია 2:0 დინამო

სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე (ამაშუკელი 85), გოგიტაძე, ჯელაძე, ჯიშკარიანი, ცომაია, გოგიაშვილი, გოგიჩაიშვილი, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია, ჩხაიძე

დინამო: ზოიძე, ბერაძე, დიდავა, კიკნაძე, მაჭავარიანი (ხუჯაძე 22), დემეტრაძე (ლობჟანიძე 32), ცქიტიშვილი, ჯამარაული, იაშვილი, ანჩაბაძე, ყაველაშვილი

1:0 გოგიაშვილი (31), 2:0 ზ. ჯანაშია (59)

გაფრთხილება: იაშვილი, ლობჟანიძე, იონანიძე

მსაჯი: მ. მალაღურიძე (თბილისი)

საპასუხო მატჩი — 18 ნოემბერს

საპასუხო მატჩები.
10 მარტი

### მეტალურგი 6:1 ქიზიყი

მეტალურგი: დოლიძე, ამბიძე, ყაველაშვილი, ქველაძე, კობიაშვილი (ხაბულიანი 46), ქებაძე, გახოკიძე, გ. კილასონია, პერტია, გაფრინდაშვილი, ჩალაძე

ქიზიყი: ზურიკო ხუციშვილი, ტეფნაძე, გ. შაიშმელაშვილი, ხოხონიშვილი, ხვთისავრიშვილი, შ. შაიშმელაშვილი, ყანჩაშვილი, ტილკავაშვილი, მოსიაშვილი, ზურაბ ხუციშვილი, შალვაშვილი

1:0 პერტია (20), 2:0 პერტია (43) 3:0 ქებაძე (51), 4:0 გ. კილასონია, 5:0 ჩალაძე, 6:0 ჩალაძე (71), 6:1 ზურაბ ხუციშვილი (80)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### საპოვნელა 1:1 ბათუმი

საპოვნელა: თევზაძე, კუხიანიძე, გეწაძე (ლილუაშვილი 73), ჭელიძე, ხვარეშია, უკლება, ჩინჩალაძე (გურაბანიძე 57), ჯულელი, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა

ბათუმი: ბალაძე, ფუტკარაძე, შანიძე, ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ტულუში, მაჭუტაძე, ხომერიკი (კანტიძე 65), ამბიძე

1:0 გოდერძიშვილი (61), 1:1 ტულუში (65)

გაფრთხილება: გეწაძე

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

### გურია 2:2 ზუგდიდი

ვანში

გურია: კუნჭულია, კოროტკოვი, ბურდული, ქიქავა, ბუცურეიშვილი, განიევი, კვინტრაძე, ნარიაშვილი (თევზაძე 63), პატარაია (ებრალიძე 85), გამცემლიძე, სიხარულიძე

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, ჯაბუა, ქაძანაია, კვარაცხელია, კუტალია (გაბედავა 74), დარასელია, გაბისონია, აფაქიძე

1:0 პატარაია (23), 2:0 სიხარულიძე (24), 2:1 კუტალია (26), 2:2 ძალამიძე (84)

გაფრთხილება: აფაქიძე

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

ეროვნული ბიბლიოთეკა




თბილისი. 29 მარტი. 21.00.

საქართველო — გერმანია

# იქ, მეტოქეთა მიწაზე

მართალია, ბოლო დროს აქა-იქ გვესმის, გერმანული ფეხბურთი კრიზისს განიცდისო, მაგრამ ამ ნათქვამის თამამად გამეორება ვინძლო უპრიანი არ იყოს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სულ დაჩაჩანაკებულიც რომ იყოს, გერმანიის ნაკრები ჩვენი, საერთაშორისო შეჯიბრებებში ახალფეხადგმული გუნდის მეტოქეა და, სადაცაა, თბილისში მოგვიწყობს გამოცდას, მეორეც, თუნდაც ვინმეს დასუსტებული ეგონოს, ეგეცა ვთქვათ, ვისთან შედარებით დასუსტდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი!? კარგად თუ განვსჯით, ვნახავთ, რომ სხვა დროის გერმანიისავე ნაკრებს ვადარებთ და დასუსტებაში იმას ვგულისხმობთ, რომ მსოფლიოში პირველიდან, ვთქვათ, მეხუთე გუნდამდე ჩამოქვეითდა, თორემ ეს გუნდი მაინც უძლიერესთაგანია. საგულისხმოა აგრეთვე, რომ საკუთრივ გერმანიაში ფეხბურთის დონის კრიტიკასთან ერთად სტადიონებზე მაყურებელმა იმატა. ბუნდესლიგის მატჩებს პირველ წრეში საშუალოდ 30 261 გულშემატკივარი დაესწრო, შარშან კი მათი რიცხვი 25 677 იყო. ყველაზე პოპულარულ კლუბს მიუნხენის „ბაიერნს" ყოველ მატჩში 53 778 ადამიანი ადევნებდა თვალს (შარშან 47 062). მაყურებელთან ერთად წითელმა ბარათებმაც იმატეს. პირველ წრეში მსაჯებმა 44-ჯერ მიმართეს უკიდურეს ზომას, აქედან 26-ჯერ სიწითლე ორი ყვითლის ჯამმა გამოიწვია. გასულ სეზონში ამ დროისთვის კი 38 (18 ორი ყვითელი) ფეხბურთელი ჰყავდათ გაძევებული. სამაგიეროდ, უცვლელი დარჩა გოლების რაოდენობა. საშობაო არდადეგებამდე 461 (3,01 საშუალოდ) გოლი გავიდა, აქედან 39 პენალტით, ერთი წლის წინანდელი მონაგარი სულ ხუთით მეტი იყო. წლეულს ბომბარდირთა ლიდერს, ფრაიბურგელ არგენტინელს რუდოლფო კარდოსოს 13 გოლიდან 7 თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ჰქონდა გატანილი. ყურადღება „ფეხბურთელთა ბაზარზე" გააქტიურებულმა ფრანკფურტის „აინტრახტმაც" მიიპყრო. კლუბმა მაურიციო გაუდინო სეზონის ბოლომდე „მანჩესტერ სიტის" ათხოვა, ენტონი იებოას კი საქმე გაურთულა. განელ თავდამსხმელს გული „ბაიერნისკენ" უწევდა, მაგრამ იმის გამო, რომ „აინტრახტში" უეფა-ს თასზე ამ სეზონში უკვე ეთამაშა, მიუნხენის კლუბი მას ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ვეღარ იმსახურებდა და ტრანსფერი ჩაიშალა. ამგვარად, გასული სეზონის ბომბარდირი, წლეულს კი 7 გოლის ავტორი „ლიდს იუნაიტედში" აღმოჩნდა. საქმეში წესიერად ჩახედულ ხალხსაც ვერ გაურკვევია, ფრანკფურტმა ლიდსს ეს კაცი ათხოვა თუ სულ მიჰყიდა. ინგლისში ჩასულმა იებოამ „აინტრახტი" და მისი მწვრთნელი ჰაინკესი გულიანად გააკრიტიკა. მისი თქმით, ჰაინკესი უცხოელებს ვერ ეგუება და ჯერ წარმოშობით იტალიელი გაუდინო მოიშორა, მერე ცხადაძე დასვა სკამზე, არც გაახარა, თავად მას კი შავი დღე აყარა. იებოას მსურველი „ბაიერნი", რაკილა ეს საქმე ვერ გააჩერხა, სხვა გზას დაადგა და „ლა კორუნიასგან" ბულგარელი ემილ კოსტადინოვი ითხოვა. მიუნხენელებს შენაძენთან ერთად დანაკლისიც ჰქონდათ: მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი ჟორჟინიო იაპონიაში წაუვიდათ, მეკარე ოლივერ კანმა კი მყესები დაიზიანა და სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. სამაგიეროდ, ძლევამოსილ კლუბს გაისიდან შტუტგარტელი თომას შტრუნცი და ავსტრიის ნაკრების მოთამაშე ანდრეას ჰერცოგი შეემატებიან. სეზონის კიდევ ერთი სენსაცია ნაკრების ყოფილი წევრის, ბოხუმელი როლანდ ვოლფარტის დოპინგზე გამოჭერა იყო.

ბუნდესლიგა ბუნდესლიგად და ჩვენთვის ყველაზე საინტერესოს, გერმანიის ნაკრებს დავუბრუნდეთ. შეგახსენებთ, რომ შარშან გუნდმა 11 თამაშში გაიმარჯვა, მაგრამ უმთავრეს ამოცანას, მსოფლიო ჩემპიონობას თავი ვერ გაართვა. ამერიკიდან დაბრუნებულ ბერტი ფოგტსს ბევრი მწარე სიტყვის მოსმენის შემდეგ ქვეყნის საფეხბურთო საზოგადოებისთვის გუნდის განახლების აღთქმა მოუხდა, მაგრამ საქმე მთლად კარგად მაინც არ წაუვიდა. ახალწვეულთაგან ბევრმა ვერ გაამართლა და ფოგტსს დღემდე ძირითადად ძველი გვარდიის ნდობა უწევს. მისი მთავარი საყრდენი იურგენ კლინსმანია, რომელმაც 94-ში 11 გოლი გაიტანა, დანარჩენ სამ თავდამსხმელზე რვით მეტი. კლინსმანის გარდა მწვრთნელს მეკარე ანდრეას კეპკეს, ნახევარმცველ მათიას ზამერისა და მცველ თომას ჰელმერის თამაში მოსწონს. მათეუსის ტრავმის შემდეგ კი ამ სეზონში ლიბეროდ სწორედ ზამერს ელიან. რაც შეეხებათ ახალგაზრდებს, სხვებზე მეტად მიონხენგლადბახელი ჰაიკო ჰერლიხის და შტუტგარტელი ფრედი ბობიჩის იმედი აქვთ. თქვენი ნებართვით, ბობიჩზე შევჩერდებით.

1970 წლის 30 ოქტომბერს ყოფილ იუგოსლავიაში, ქალაქ მარიბორში დაბადებული ხორვატი მამისა და სლოვენის დედის ვაჟი ორიოდ წლისა ბედმა მშობლებთან ერთად გერმანიაში გადაასახლა. ბობიჩმა ბავშვობიდანვე საფეხბურთო სკოლებსა და გუნდებში სიარულს მიჰყო ხელი და 1992 წელს, მოქალაქეობა რომ მიიღო, უკვე ფეხბურთელი იყო. შვიდი წლისა „ბად კანსტატის" კლუბში თამაშობდა, შემდეგ ექვსი წელი „შტუტგარტის" მოსწავლეთა გუნდში გაატარა, საიდანაც ქალაქის გადაღმა, „შტუტგარტერ-კიკერსში" გადავიდა. დღეს იგი კვლავ „შტუტგარტის", ოღონდ ახლა დიდი გუნდის წევრია. შარშან ოქტომბერში კი უნგრელებთან ამხანაგურ შეხვედრაში ნაკრებში მისი დებიუტი შედგა. სადებიუტო მატჩში ბობიჩმა თავით კინაღამ გოლი შეაგდო, მაგრამ უნგრელთა კარი მეკარე პეტრის საოცარმა რეაქციამ იხსნა. ახალგაზრდა ფორვარდს აქებენ და ადიდებენ და დღეს იგი ნაკრების მთავარი თავდამსხმელი მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ იურგენ კლინსმანს ფეხბურთისთვის თავი ჯერ არ დაუნებებია. თუმცა „კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელს ფრიდელ რაუხს თუ დავუჯერებთ, კლინსმანი, კუნცი, რიდლე და კირსტენი საუცხოონი კი არიან, მაგრამ თუ ფრედი ბობიჩის ელვისებურ ზრდას გავითვალისწინებთ, ბებერ ვარსკვლავებს ნაკრებში შევიწროება მოუწევთ. „თუ არ იცით, ვერც მიხვდებით, რომ ფრედი ბუნდესლიგაში ახალი კაცია — ამბობს მწვრთნელი. იგი იმდენად თავდაჯერებულად თამაშობს, რომ გეგონება, დიდ ფეხბურთში წლები გაუტარებია. მას თავდამსხმელის საუკეთესო თვისებები აქვს, იგი სხარტია და უშიშარი, ურტყამს საუცხოო თავურებს და საჯარიმოში ბურთს რომ მიიღებს, იოტისოდენადაც არ ღელავს." ბობიჩის კარიერა მართლაც ჩინებულად დაიწყო. ბუნდესლიგაში დებიუტიდან შვიდ კვირაში ფოგტსმა ნაკრებში ათამაშა. გაგერმანელებულ ხორვატს ახალი კლინსმანი შეარქვეს. „თავად ვერ ვიჯერებ, რომ ასე მოკლე ხანში ამდენს მივაღწიე. ყველაზე დიდ ოცნებაშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ბუნდესლიგაში ჩემი გამოჩენიდან უმოკლეს ხანში ნაკრებში მიმიწვევდნენ. უნგრეთში ნათამაშები მატჩის გახსენება სიამაყეს მგვრის. მათეუსის, კლინსმანის და ჰესლერის მხარდამხარ მოქმედებამ უდიდესი გამოცდილება შემძინა." — ეს ბობიჩის სიტყვებია, რომელიც ბუნდესლიგაში გადასვლამდე, მეორე ეშელონში 62 თამაშში 26 გოლის ავტორი იყო.

ილია ბაბუნაშვილი



ფრედი ბობიჩი



BEAU (14) MONDE

## მათიას ზამერი

დაიბადა 1967 წლის 5 სექტემბერს დრეზდენში
უცხოვრია დრეზდენში, შტუტგარტში, მილანში, დორტმუნდში.
მშობლები კლაუსი და დორთე. მეუღლე კარინა
ჰყავს 2 წლის ქალიშვილი სარა
სიმაღლე: 180 სმ. წონა: 76 კგ
თმა წითური, თვალები მწვანე
ხასიათი: იმპულსური, ინდივიდუალისტი, შეუძლია წინამძღოლობა
მანქანა: მერსედესი 280 TE
ჩვევა: ორიდან ოთხ საათამდე სძინავს და არავის აქვს უფლება ამ დროს დაარღვიოს მისი მყუდროება
კარიერა: დრეზდენის „დინამო" (1972-1990), „შტუტგარტი" (1990-1992), მილანის „ინტერი" (1992-1993), დორტმუნდის „ბორუსია" (1993-)
29 მატჩი გერმანიის ნაკრებში (გდრ-ში — 23). დებიუტი: შტუტგარტი. 19.12.1990 გერმანია — შვეიცარია (4:0)
გდრ-ის ორგზის ჩემპიონი, თასის მფლობელი. გერმანიის ჩემპიონი („შტუტგარტი", 1992)
ძლიერი მხარეები — პირად ცხოვრებაში: ყოველთვის სიმართლეს ამბობს. თამაშის დროს: ტექნიკა, ათლეტიზმი, საჰაერო ბრძოლა, ბრძოლისუნარიანობა, ძლიერი დარტყმა
სუსტი მხარეები — პიროვნული და თამაშის დროს: მოუთმენელი და ზედმეტად მოუსვენარია
უყვარს თავის ქალიშვილთან თამაში

# გვირგვინს მე თავად დავიდგამ

სკოლის დამთავრების შემდეგ მათიას ზამერი არჩევანის წინაშე იდგა. ან უნივერსიტეტში უნდა განეგრძო სწავლა, ანაც, ჩვენებურად რომ ვთქვათ, პროფსასწავლებელში ჩაებარებინა. იმის გამო, რომ 17 წლის ზამერს წიგნებში ჩაკირკიტება დიდად არ ეპიტნავებოდა, გადაწყვიტა VEB-ის ჩარხმშენებელი ქარხნის სასწავლებელში მოწყობილიყო და ზეინკლობა ესწავლა. გდრ-ში ზეინკალს ორ წელიწადში ამზადებდნენ, მათიასმა კი სასწავლებელში ორწელიწადნახევარი დაჰყო. მიზეზი დრეზდენის „დინამოს" შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა და ამის გამო მეცადინეობების გაცდენა იყო. საბოლოოდ, ზამერს დამამთავრებელი გამოცდისთვის 15 გვერდიანი თეორიული რეფერატი შეთხზა და პრაქტიკული გამოცდაც ოთხიანზე ჩააბარა. ეს იყო და ეს, მომავალი ვარსკვლავი ჩარხს აღარ გაჰკარებია.

პატარაობისას მათიასი მსოფლიო ჩემპიონატში თამაშზე ოცნებობდა. გერმანიის გაერთიანების მერე მას ოცნების ახდენის შესანიშნავი შანსი მიეცა. „ვაშა, საზღვრები გაიხსნა", უხაროდა ბევრს" — იგონებს ზამერი — „მაგრამ შენი ადგილის დასამკვიდრებლად, რა სფეროც უნდა ყოფილიყო, უზომო შრომა იყო საჭირო." მათიასიც მუხლჩაუხრელად შრომობდა და საწადელსაც მიაღწია... ოცდამეხუთე მატჩი გერმანიის ნაკრებში მისთვის უბედნიერესი აღმოჩნდა — ამ დღეს შედგა მისი დებიუტი მსოფლიო ჩემპიონატზე ბოლივიის წინააღმდეგ. ამ მატჩში ზამერს უმნიშვნელოვანესი როლი — მოედნის შუაგულის გაკონტროლება ევალებოდა. დანაკისრებს შესანიშნავად გაართვა თავი და მწვრთნელის ქებაც დაიმსახურა. საყურადღებოა ისიც, რომ ვარჯიშზე ბერტი ფოგტსი ხშირად ესაუბრება ხოლმე ზამერს. ამას კი მწვრთნელი მხოლოდ იმ ფეხბურთელებთან აკეთებს, რომელთაც თამაშის დროს დიდი როლი ეკისრებათ.

მათიას ზამერი დრეზდენის „დინამოში" გამოკვეთილი თავდამსხმელის ადგილზე თამაშობდა. „როცა გოლს ვერ ვიტანდი, ძალიან ვბრაზობდი" — ამბობს მათიასი — „ახლა რომ დიქსი დიორნერმა მნახოს, ალბათ ჭკუიდან შეირყევა, ადრე ხომ ერთი ნაბიჯსაც არ ვდგამდი უკან."

ამჟამად ზამერს მოედნის ყველა მონაკვეთზე ნახავთ, თანაც იქ, სადაც ბრძოლაა. ის ქარივით დაქრის ერთი ფრთიდან მეორეზე და თანაგუნდელებს საქმეს უიოლებს. დორტმუნდში თავისი დაუდგრომელი ენერგიისა და ბრძოლის ჟინის გამო ის „საფრთხილოთა ჯგუფში" შეიყვანეს: მწვრთნელებს მუდამჟამ უნდა შეეხსენებინათ მისთვის, რომ ეს ვარჯიშია და არ ღირს თანაგუნდელებთან თავ-პირის მტვრევა.

ზამერი ხშირად მეტოქეს კი არა, თავსაც არ უფრთხილდება. გერმანიის წლევანდელი ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოს სერიოზულად დაიზიანა ზურგი, მაგრამ არც გუნდისა და არც ნაკრების ექიმების რჩევებს, შეეწყვიტა ვარჯიში, ყური არ ათხოვა და განაცხადა, ყველაფერი, რაც გაზეთებში იწერება, მონაგონია, თავს მშვენივრად ვგრძნობო. მოლდოვის ნაკრებთან ზურგმა ისე შეაწუხა, რომ ათი წუთის შემდეგ შეცვლა მოითხოვა. ამის მერე ექიმებმა იძულებით დაასვენეს, თანაც დარბაზში მინიფეხბურთის თამაშიც აუკრძალეს. ზამერმა დიდი ხანი ვერ გაძლო სათადარიგოთა სკამზე და ერთი კვირის თავზე, ისე, რომ საბოლოო დიაგნოზს არც დალოდებია, მინდორზე გამოვიდა. „უბრალოდ, ზურგის კუნთები მაქვს დაჭიმული" — ინუგეშებდა თავს. მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" თამაშის დროს ზამერს შუბლი გაუტყდა. კლუბის ექიმმა სისხლის შესაჩერებლად რკინის მარწუხები მოუჭირა ნაჭრილობევზე, შემდეგ კი 16 ნაკერიც დაადო. მათიასმა თამაში ისე გააგრძელა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს და ყველა საჰაერო დუელიც მოიგო. ფეხბურთის სპეციალისტთა აზრით, ზამერი თავს სულ არ უფრთხილდება და თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა, კარიერა ნაადრევად დაასრულოს.

შრომისუნარიანობითა და ბრძოლის ჟინით მათიასმა უდიდეს პოპულარობას მიაღწია, ისეთსაც კი, რომ დორტმუნდის „ბორუსიის" მწვრთნელმა მას 90-იანი წლების ბეკენბაუერი უწოდა. ამ შედარებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სპეციალისტთა შორის. იუპ ჰაინკესის აზრით, ბევრს, ეტყობა, დაავიწყდა, როგორი ალმაფრენით თამაშობდა ბეკენბაუერი, თორემ მისი და ზამერის შედარებას არ დაიწყებდნენო. პაულ ბრაიტნერმა კი სხვაობა ეპოქებს შორის დაინახა: „ბეკენბაუერის დროს მისი ლიბეროობა ერთობ პირობითი რამ იყო. იგი თავისუფლად ერთვებოდა შეტევებში და ხშირად მესამე თავდამსხმელადაც გვევლინებოდა. ახლა ლიბეროს თამაში უფრო გამოკვეთილია და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვას გულისხმობს. ზამერი ახალი დროის ლიბეროა. ის მარჯვენა და მარცხენა მცველის, ასევე ნახევარმცველის ფუნქციასაც უნდა ასრულებდეს. ფეხბურთში რევოლუციური ძვრები შეიმჩნევა, როგორც ბეკენბაუერმა დაასრულა შულცის ერა, ასევე შეუძლია ზამერს, ბოლო მოუღოს ბეკენბაუერის ერას. მას ძალუძს ათწლეულის უდიდესი ფეხბურთელი გახდეს."

რაც უნდა ილაპარაკონ მასზე, ზამერს შეგნებული აქვს: „არ მინდა დაუმსახურებლად მედგას თავზე დიდების გვირგვინი, მირჩევნია, ჩემი გარჯით მივაღწიო აღიარებას."

ერეკლე ქიქილაშვილი



# ბერთოლდის თემა ამოწურულია

თომას ბერთოლდისთვის, გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული 62 მატჩის შემდეგ, საერთაშორისო კარიერა დასრულდა. ნაკრების ხელმძღვანელობამ ესპანელებთან თამაშის წინ იგი ყოველგვარი კომენტარის გარეშე ამორიცხა გუნდის წევრთა სიიდან. ბერტი ფოგტსი დიდხანს აყოვნებდა ამ გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ ესპანელებთან თამაშის შემდეგ დაბეჯითებით განაცხადა: „ბერთოლდის თემა ამოწურულია. მე მას ნაკრებში აღარ მოვიწვევ." მიზეზი მწვრთნელის რისხვისა გახლდათ შუა დეკემბრის „შპიგელში" გამოქვეყნებული ინტერვიუ, რომელშიც ფეხბურთელმა მკაცრად შეაფასა ფოგტსის მოღვაწეობა. მწვრთნელს ალბათ არ სურდა, გულშემატკივრებს ეფიქრათ — პირად შეურაცხყოფას ნაკრების ინტერესებზე მაღლა აყენებსო და თომასს ალბანელებთან თამაში აცალა.

„მწვრთნელმა ასეთ რალაცეებს ყურადღება არ უნდა მიაქციოს. წარმოიდგინეთ, ბუნდესლიგის მწვრთნელებმა მოთამაშეები საკუთარი აზრის გამოთქმისათვის რომ მოიძულონ და გუნდიდან გააგდონ, მაშინ ხომ ცოტა ხანში უფეხბურთელოდ დარჩებიან" — თქვა შტუტგარტელთა კაპიტანმა, რომელსაც საქართველოში ჩამოსვლა, ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში, არ უწერია.

## ინგლისი

# «ლივერპულის» დანავსული კვირა

ლიგის თასი ნახევარფინალის განმეორებითი თამაშები. 8 მარტი: ბოლტონი — სვინდონი 3:1 (პირველი თამაში 1:2); კრისტალ პალასი — ლივერპული 0:1 (0:1). ფინალი: ლივერპული — ბოლტონი 2 აპრილს „უემბლიზე"

პირველობა. 8 მარტი: ბლექბერნი — არსენალი 3:1; მანჩესტერ სიტი — ჩელსი 1:2; ნიუკასლი — ვესტ ჰემი 2:0; ნორვიჩი — შეფილდ უენსდეი 0:0; ნოტინგემი — ევერტონი 2:1; ქუინზ პარკი — ლესტერი 2:0; ტოტენჰემი — იფსვიჩი 3:0. 11 მარტი: ჩელსი — ლიდსი 0:3; კოვენტრი — ბლექბერნი 1:1; ლესტერი — ნოტინგემი 2:4; შეფილდ უენსდეი — უიმბლდონი 0:1; ვესტ ჰემი — ნორვიჩი 2:2. 14 მარტი: კრისტალ პალასი — შეფილდ უენსდეი 2:1; ლივერპული — კოვენტრი 2:3.

ასოციაციის თასი. მეოთხედფინალები. 11 მარტი: კრისტალ პალასი — ვულვერჰემპტონი 1:1; ლივერპული — ტოტენჰემი 1:2. 12 მარტი: მანჩესტერ იუნაიტედი — ქუინზ პარკი 2:0; ევერტონი — ნიუკასლი 1:0. ნახევარფინალები. 9 აპრილს: მანჩესტერ იუნაიტედი — კრისტალ პალასი ან ვულვერჰემპტონი (ბირმინგემის „ვილა პარკზე"); ევერტონი — ტოტენჰემი (ლიდსის „ელანდ როუდზე")

წინა კვირაში პირველობისთვის დოღში „მანჩესტერ იუნაიტედმა" სამშაბათ საღამოს ბურთების უკეთესი სხვაობით გაუსწრო „ბლექბერნს", თუმცა კი კანტონას გახმაურებული ინციდენტის შემდეგ ექვსი კვირის თავზე ლონდონის „სელჰერსთ პარკზე" მანჩესტერელთა პირველივე სტუმრობა ისევ აყალმაყალიანი გამოვიდა. სტუმრებმა ერთადერთი ბურთი მას შემდეგ გაიტანეს, რაც სთივ ბრუსმა „უიმბლდონის" მეკარეს ბურთი ხელიდან გააგდებინა. ამან გააცეცხლა მასპინძელთა მენეჯერი ჯო ქინეარი. იგი სტადიონიდანაც გააძევეს, მაგრამ პოლიციასაც არ შეეპუა და მუშტიკრივი გაუმართა.

„ბლექბერნმა" ლიდერობა ოთხშაბათ საღამოსვე დაიბრუნა. „არსენალს" ორი გოლი ალან შირერმა გაუტანა, მესამე — გრემ ლესოუმ. ვიქენდზე „მანჩესტერი" თამაშით იყო დაკავებული, მაგრამ „ბლექბერნმა" მეტად გასწრების შანსი ხელიდან გაუშვა. მეტიც, ახალი მწვრთნელის — რონ ატკინსონის მიერ შეგულიანებული „კოვენტრი" დიონ დაბლინის მიერ 30-ე წუთზე გატანილი გოლით კარგა ხანს უგებდა ლიდერს, მაგრამ 87-ე წუთზე ისევ შირერმა იმარჯვა და სეზონის 32-ე გოლით თავისიანებს „ჰაიფილდ როუდიდან" ქულა წამოაღებინა.

„კოვენტრიმ" ესეც არ იკმარა. ამ კვირაში სტუმრად დაამარცხა „ლივერპული", მისმა სამხრეთაფრიკელმა ფორვარდმა დენის აწლავმა კი ამ სეზონში პირველმა შეასრულა ჰეთ-ტრიკი „ანფილდზე".

არადა, წინა კვირა „ლივერპულისთვის" იღბლიანად დაიწყო. გუნდმა მეორედაც დაამარცხა „კრისტალ პალასი". გოლი 27-ე წუთზე გაიტანა რობი ფაულერმა. „ლივერპული" მშვიდად გავიდა ლიგის თასის ფინალში, მის უელსელ ვეტერან იან რაშს კი 2 აპრილს „უემბლიზე" ამ თასის საცილოდ მეექვსედ მოუწევს სტუმრობა: თუ მისიანები მოიგებენ, რაში „კოკა-კოლას" თასს მეხუთედ დაეუფლება.

„ლივერპულს" ამ თასს შეეცილება პირველი ჯგუფის წევრი „ბოლტონ უონდერერსი", რომელმაც თანაჯგუფელი „სვინდონ თაუნი" გააგდო. „სვინდონი" ფიორტოფტის გოლით თავიდან ჯამში 3:1 იგებდა, მაგრამ მერე მაკატიერმა, პაატალაინენმა და მაკგინლიმ (87-ე წუთზე) „ბოლტონს" გაამარჯვებინეს. ეს პროვინციული გუნდი „უემბლის" ბარემ 40-წლიანი პაუზის შემდეგ ეწვევა.

სამი დღის შემდეგ რაშსა და კომპანიას უფრო სერიოზული თამაში ელოდათ. ნაღდი, ასოციაციის თასისთვის შინ ეთამაშებოდა „ტოტენჰემს", რომელიც ამ თასის ისტორიაში ყველაზე ტიტულმოხვეჭილი გუნდია. ანგარიში ისევ ფაულერმა გახსნა (38-ე წუთზე). 45-ე წუთზე იურგენ კლინსმანმა ტედი შერინგემს გაათანაბრებინა ანგარიში. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ გუნდებს ათი დღის თავზე გადათამაშება არ ასცდებოდათ, მაგრამ 88-ე წუთზე ეხლა უკვე შერინგემმა მიაწოდა გერმანელს ბურთი და ამანაც „ტოტენჰემი" ნახევარფინალში გაიყვანა. ტყუილად როდი უთქვამს იურგენს „სპურზში" გადმოსვლისთანავე, ამ კლუბთან ერთად ევროპულ თასებზე უნდა ვიასპარეზოო.

ამავე ეტაპზე „მანჩესტერმა" მარკ ჰიუზის მიერ გაზერზებული ორი გოლით გაიმარჯვა: პირველი შარფმა შეაგდო, მეორე — ერვინმა. მერე შმაიხელს „ქუინზ პარკის" ორი სახიფათო იერიშის მოგერიება მოუწია.

„ევერტონი" ასევე უელსელის — მეკარე ნევილ საუთჰოლის კარგმა თამაშმა და ახალი მწვრთნელის — ჯო როილის სწორხაზოვანმა ტაქტიკამ 27-ედ გაიყვანა თასის ნახევარფინალში. „გუდისონ პარკის" ოღროჩოღრო მოედანზე მასპინძლებმა ერთი გოლით მოუგეს კევინ კიგანის „ნიუკასლს": ანოვორსმა საჯარიმოში ჩააწოდა, ფერგუსონმა თავით დაარტყა, უოთსონმა კი დაამატა.

მეოთხე ნახევარფინალისტს გადათამაშება გამოავლენს. „კრისტალ პალასი" იან დაუის გატანილი საჯარიმოთი უგებდა პირველჯგუფელ „ვულვზს", მაგრამ 36 წლის გორდონ ქაუანსმა კარიერაში პირველი გოლით ანგარიში გაათანაბრა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 33 | 22 | 7 | 4 | 68-28 | 73 |
| მანჩესტერ იუნ. | 32 | 21 | 6 | 5 | 63-22 | 69 |
| ნიუკასლი | 32 | 17 | 9 | 6 | 54-33 | 60 |
| ლივერპული | 30 | 15 | 9 | 6 | 52-26 | 54 |
| ნოტინგემი | 33 | 15 | 9 | 9 | 50-38 | 54 |
| ტოტენჰემი | 30 | 13 | 8 | 9 | 51-42 | 47 |
| ლიდსი | 30 | 12 | 10 | 8 | 38-29 | 46 |
| შეფილდ უენს. | 34 | 11 | 10 | 13 | 41-43 | 43 |
| ქოვენთრი | 34 | 10 | 13 | 11 | 37-50 | 43 |
| უიმბლდონი | 32 | 12 | 6 | 14 | 37-54 | 42 |
| არსენალი | 32 | 10 | 10 | 12 | 36-36 | 40 |
| ჩელსი | 31 | 10 | 10 | 11 | 39-43 | 40 |
| ასტონ ვილა | 33 | 9 | 12 | 12 | 46-46 | 39 |
| ნორვიჩი | 32 | 9 | 12 | 11 | 30-36 | 39 |
| ქუინზ პარკი | 29 | 10 | 8 | 11 | 45-47 | 38 |
| მანჩესტ. სიტი | 31 | 9 | 10 | 12 | 39-47 | 37 |
| ევერტონი | 32 | 8 | 11 | 13 | 33-43 | 35 |
| კრისტ. პალასი | 31 | 8 | 10 | 13 | 23-32 | 34 |
| ვესტ ჰემი | 32 | 9 | 6 | 17 | 30-43 | 33 |
| საუთჰემპტონი | 29 | 6 | 14 | 9 | 40-46 | 32 |
| იფსვიჩი | 32 | 6 | 5 | 21 | 31-72 | 23 |
| ლესტერი | 32 | 4 | 9 | 19 | 35-62 | 21 |

## იტალია

# ძოლამ მაინც იძალა

XXIII ტური. 12 მარტი. ბარი — ინტერი 0:1, კრემონეზე — კალიარი 2:0, ფიორენტინა — რეჯანა 1:1, ჯენოა — ბრეშია 1:0, იუვენტუსი — ფოჯა 2:0, მილანი — პადოვა 1:0, ნაპოლი — ლაციო 3:2, პარმა — სამპდორია 3:2, რომა — ტორინო 1:1

ტურის მშვენება პარმის მატჩი გამოდგა და მას ძოლას ბენეფისი შეიძლება ეწოდოს, პირველ ტაიმში მან ჯერ თაურით გახსნა ანგარიში, მერე კი ასპრილიას ეშმაკური ქუსლური პასით საგოლე პოზიცია ში ამოაყოფინა თავი და ამანაც ივარგა. აქ სტუმრებმაც გამოიღეს ხელი: მანჩინის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა ლომბარდომ იქვე გულიტმაც სეზონში თავი მეათე გოლი შეაგდო. ქულის დაკარგვის საფრთხემ „პარმა" წინ წაიყვანა და...ძოლამ პენალტი ვერ გამოიყენა, მაგრამ მალე მაინც იძალა და გადამწყვეტი, სამქულიანი ბურთის გატანა მოახერხა, თუმცა „პარმა" „იუვეს" მაინც ვერ მიუახლოვდა, რადგან ისედაც კარგ ფორმაში მყოფ ლიდერს რობერტო ბაჯო დაემატა: ბუდისტმა რავანელისაც გაატანინა და ისე უზადოდ შეასრულა ერთ-ერთი ჯარიმა, ბაჯოსაგანაც რომ გაგიკვირდება. „ლაციომ" დორტმუნდის მატჩის წინ არ დაზოგა ძალები, 2:0-საც იგებდა (კაზირაგი 20,40), მაგრამ რინკონმა (49,56) და ბუზომ (87) თანამემამულეები გერმანიაში ცუდ ხასიათზე გაუშვეს. „ინტერს" არ ჰყავდა ბერხკამპი, შუა თამაშისას კი მწვრთნელი ბიანკიც გაუძევეს, მაგრამ გუნდს დელ ანომ უშველა — 58-ე წუთზე შემცვლელად შემოსულმა 63-ეზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა. „რეჯანამ" ნერვები დააწყვიტა ბატისტუტას და მის მეგობრებს, რომლებმაც 28-ე წუთზე ესპოზიტოს გატანილ გოლს მხოლოდ 87-ეზე უპასუხეს — რუი კოშტას პასი კარბონემ გოლად აქცია. ეშხზეა მოსული მარკო სიმონე, რომლის 28-ე წუთზე გატანილმა ბურთმა ჩემპიონი მესამე ადგილზე გაიყვანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 23 | 16 | 4 | 3 | 38-20 | 52 |
| პარმა | 23 | 14 | 6 | 3 | 38-19 | 48 |
| მილანი | 23 | 10 | 9 | 4 | 31-21 | 39 |
| რომა | 23 | 10 | 8 | 5 | 29-18 | 38 |
| ლაციო | 23 | 11 | 4 | 8 | 51-31 | 37 |
| სამპდორია | 23 | 9 | 8 | 6 | 38-22 | 35 |
| კალიარი | 23 | 9 | 8 | 6 | 26-24 | 35 |
| ფიორენტინა | 23 | 8 | 9 | 6 | 39-37 | 33 |
| ინტერი | 23 | 8 | 8 | 7 | 21-20 | 32 |
| ტორინო | 23 | 8 | 6 | 9 | 24-27 | 30 |
| ნაპოლი | 23 | 7 | 9 | 7 | 28-34 | 30 |
| ბარი | 23 | 9 | 2 | 12 | 24-31 | 29 |
| ჯენოა | 23 | 7 | 6 | 10 | 24-31 | 27 |
| პადოვა | 23 | 8 | 2 | 13 | 25-44 | 26 |
| კრემონეზე | 23 | 7 | 4 | 12 | 20-26 | 25 |
| ფოჯა | 23 | 6 | 7 | 10 | 21-31 | 25 |
| რეჯანა | 23 | 3 | 4 | 16 | 15-31 | 13 |
| ბრეშია | 23 | 2 | 6 | 15 | 12-37 | 12 |

ბომბარდირები

გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა) — 19
აბელ ბალბო (რომა) — 14
სანდრო ტოვალიერი (ბარი) — 13
ჯუზეპე სინიორი (ლაციო) — 13
ჯანფრანკო ძოლა (პარმა) — 13
პიერლუიჯი კაზირაგი (ლაციო) — 12
ჯანლუკა ვიალი (იუვენტუსი) — 11
რუუდ გულიტი (სამპდორია) — 10
მარკო სიმონე (მილანი) — 10

## ესპანეთი

# ყველამ წააგო!

XXV ტური. 11 მარტი. ატლეტიკო — ბარსელონა 2:0. 12 მარტი. ვალენსია — ვალიადოლიდი 3:0, სარაგოსა — ლა კორუნია 1:0, ტენერიფე — ოვიედო 1:1, კომპოსტელა — სელტა 2:0, ესპანიოლი — ბეტისი 0:0, რასინგი — რეალი 3:1, სპორტინგი — ლოგრონიესი 2:2, ატლეტიკი — ალბასეტე 1:2, სევილია — სოსიედადი 2:0

ლიდერთა სამეულმა ერთობ „ივაჟკაცა": მათი მონაგარი გასულ ტურში ნულის ტოლია. ცუდი მაგალითი კოლეგებს „ბარსამ" უჩვენა შაბათს, როცა ვერაფერი გაწყო მასპინძელთა ცენტრალურ მცველ როჩასთან: ამან პენალტიც შეაგდო და 30-მეტრიანი საჯარიმოც, თანაც ისე, კუმანსაც (რომელიც არ თამაშობდა) შეშურდებოდა. საინტერესოა, რომ ეს როჩას პირველი ორი გოლია ამ სეზონში. კვირას „ბარსას" „დეპორტივომ" მიბაძა და ამას არც ლიდერი, „რეალი" ჩამორჩა, თუმცა კი ლაუდრუპის პასის შემდეგ ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორმა ივან სამორანომ თავის მეოცე გოლი გაიტანა და ანგარიშიც გახსნა, მაგრამ ლიდერთა რისხვა „რასინგმა" არც ახლა უღალატა ტრადიციას და უპირველესად რუსების პოპოვისა და რადჩენკოს (თითო გოლი) წყალობით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 25 | 15 | 7 | 3 | 58-20 | 37 |
| ბარსელონა | 25 | 14 | 5 | 6 | 43-32 | 33 |
| ლა კორუნია | 25 | 12 | 8 | 5 | 38-22 | 32 |
| ბეტისი | 25 | 9 | 12 | 4 | 30-14 | 30 |
| სარაგოსა | 25 | 13 | 4 | 8 | 35-32 | 30 |
| სევილია | 25 | 10 | 7 | 8 | 32-26 | 27 |
| ესპანიოლი | 25 | 9 | 9 | 7 | 31-25 | 27 |
| ატლეტიკი | 25 | 9 | 9 | 7 | 21-22 | 27 |
| ვალენსია | 25 | 9 | 8 | 8 | 36-30 | 26 |
| ოვიედო | 25 | 9 | 8 | 8 | 29-27 | 26 |
| ტენერიფე | 25 | 9 | 7 | 9 | 36-33 | 25 |
| სოსიედადი | 25 | 7 | 10 | 8 | 35-32 | 24 |
| ალბასეტე | 25 | 6 | 11 | 8 | 31-37 | 23 |
| ატლეტიკო | 25 | 8 | 6 | 11 | 39-38 | 22 |
| კომპოსტელა | 25 | 7 | 8 | 10 | 25-34 | 22 |
| რასინგი | 25 | 8 | 5 | 12 | 30-34 | 21 |
| სელტა | 25 | 6 | 9 | 10 | 21-34 | 21 |
| სპორტინგი | 25 | 5 | 9 | 11 | 28-47 | 19 |
| ვალიადოლიდი | 25 | 5 | 8 | 12 | 16-42 | 18 |
| ლოგრონიესი | 25 | 1 | 8 | 16 | 9-42 | 10 |

ბომბარდირები

ივან სამორანო (რეალი) — 20
მეხო კოდრო (სოსიედადი) — 18
დავორ შუკერი (სევილია) — 13
პრედრაგ მიიატოვიჩი (ვალენსია) — 12

## კვიპროსი

# ერთი ნაბიჯიღა დარჩა

შაბათს „ომონიამ" მესამე წრისა და მთელი ჩემპიონატის უმთავრესი მატჩი მოიგო უშუალო კონკურენტ „ანორთოსისთან", ახლა ოთხი ქულით უსწრებს მას და თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ორი გუნდი დანარჩენებს ერთი თავით სჯობს, ყიზილაშვილისა და გოგრიჭიანის გუნდს მორიგი ჩემპიონობის მოპოვებაში ალბათ ხელს ვეღარავინ შეუშლის. ნიქოზიის გადაჭედილ სტადიონზე მასპინძლებმა თამაშის დასაწყისშივე გაიტანეს გამარჯვების გოლი, რომელიც „ომონიას" ლეგიონერთა კომბინაციის შედეგად გავიდა: ყიზილაშვილმა მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა ბურთი, გოგრიჭიანმა თავით დაუგდო დუდიჩს და ამანაც არ დაახანა. შემდგომში მასპინძლებსაც და სტუმრებსაც (ნაკლებად) შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, მაგრამ მეკარეებმა იყოჩაღეს, ძელებიც ლაიხმარეს და მატჩიც ასე დამთავრდა. კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს კუდინოვის „არისი" და კერძევაძის „ომონია არადიპუ". თუმცა მოედანზე მხოლოდ ერთი ჩვენიანი იყო — კუდინოვი არ თამაშობდა, მაგრამ „არისმა" მის გარეშეც კარგად ითამაშა, პირველ 35 წუთში ოთხი გოლი გაიტანა და საბოლოოდ 4:1 გაიმარჯვა. ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: აპოელი — ეთნიკოსი 2:3, ნეა სალამინა — აპოლონი 2:1, ოლიმპიაკოსი — პარალიმნი 0:0, აეკ — აელ 6:0.

## თურქეთი

# ტრაბზონი - გალა. ვინ ვის?

სანამ „გალათასარაი" ციებ-ცხელებას შეუპყრია, „ბეშიქთაში" წყნარად აკეთებს საქმეს. გასულ შაბათს ლიდერი არც იმან ააღელვა, რომ „გენჩლერბირლიგისთან" სტუმრობისას პირველი ბურთი საკუთარ კარში [illegible] 29-ე წუთზე [illegible] შევიათი სილამაზის გოლი გაიტანა „ბეშიქთაშის" [illegible]. სტუმრებს სულ რვა წუთი დასჭირდათ და პენალტით გაათანაბრეს, მეორე ტაიმში კი შეცვლაზე შემოსულმა სამხრეთაფრიკელმა ფანი მადიდამ ორჯერ ივაჟკაცა და ახლა ლიდერი ხუთი ქულით წინ უსწრებს „ტრაბზონსპორს" და „გალათასარაის", რომელსაც ხასიათის პერიოდი დადგომია. ასე განსაჯეთ: წინა საშინაო მატჩი „გალამ" შინ „სამსუნთან" წააგო, მერე სტუმრად „ბეშიქთაში" 3:2 დაამარცხა, გასულ კვირას კი ისევ შინ დამარცხდა, ახლა „გაზიანთეფთან" — 1:2. ბოლო ორი წლის ჩემპიონს ტყუპების გუნდიც წამოეწია. „ტრაბზონმა" შინ „ანკარაგიუჯუ" 4:0 სძლია, აქედან პირველი გოლი შოთამ შეაგდო. „ტრაბზონი" და „გალა" თასის გათამაშებაშიც უშუალო მეტოქეები არიან. ორივემ დაძლია ნახევარფინალი და ახლა 5 აპრილს სტამბოლში და 12 აპრილს ტრაბზონში თასის მფლობელს გაარკვევენ. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ბურსაფორი — ფენერბაჰჩე 1:1, ფეთროლოფისი — სამსუნსფორი 2:2, ალთაი — ქაისერი 2:1, ზეითინბურნუ — ანთალიასფორი — 2:2, ვანსფორი — ქოჯაელისფორი 0:0, ადანადემისფორი — დენიზლისფორი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 25 | 17 | 5 | 3 | 59-21 | 56 |
| გალათასარაი | 24 | 16 | 3 | 5 | 56-24 | 51 |
| ტრაბზონი | 25 | 15 | 6 | 4 | 55-23 | 51 |
| ფენერბაჰჩე | 24 | 14 | 6 | 4 | 54-24 | 48 |
| გენჩლერი | 25 | 13 | 7 | 5 | 40-30 | 46 |
| ბურსასფორი | 25 | 10 | 8 | 7 | 35-28 | 38 |
| სამსუნსფორი | 25 | 8 | 8 | 9 | 41-45 | 32 |
| გაზიანთები | 25 | 9 | 5 | 11 | 34-39 | 32 |
| ქაისერი | 25 | 9 | 5 | 11 | 41-53 | 32 |
| ქოჯაელი | 24 | 8 | 6 | 10 | 37-40 | 30 |
| ალთაი | 24 | 7 | 9 | 8 | 29-33 | 30 |
| ვანსფორი | 24 | 9 | 3 | 12 | 26-31 | 30 |
| დენიზლი | 25 | 8 | 6 | 11 | 34-40 | 30 |
| ანკარაგიუჯუ | 25 | 8 | 6 | 11 | 32-41 | 30 |
| ანთალია | 24 | 5 | 7 | 12 | 22-33 | 22 |
| ზეითინბურნუ | 25 | 5 | 7 | 13 | 24-52 | 22 |
| ფეთროლოფისი | 25 | 6 | 3 | 16 | 24-53 | 21 |
| ადანადემი | 25 | 3 | 4 | 18 | 20-52 | 13 |

## გერმანია

[illegible] ტური. 10 მარტი. ბაიერნი — დუისბურგი 1:1, ვერდერი — ფრაიბურგი 5:1. 11 მარტი. შტუტგარტი — კაიზერსლაუტერნი 2:2, კარლსრუე — ჰამბურგი 2:0, დინამო — მიონხენგლადბახი 0:3, ლევერკუზენი — ბოხუმი 1:3, დორტმუნდი — აინტრახტი 1:1, ურდინგენი — კიოლნი 0:0. 12 მარტი. შალკე — მიუნხენ 1860 6:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 21 | 14 | 5 | 2 | 48-18 | 33 |
| ვერდერი | 21 | 14 | 4 | 3 | 42-22 | 32 |
| კაიზერსლაუტ. | 21 | 11 | 7 | 3 | 32-23 | 29 |
| გლადბახი | 21 | 11 | 6 | 4 | 46-26 | 28 |
| ფრაიბურგი | 21 | 12 | 4 | 5 | 43-30 | 28 |
| ბაიერნი | 21 | 8 | 11 | 2 | 38-28 | 27 |
| კარლსრუე | 21 | 8 | 8 | 5 | 33-29 | 24 |
| ლევერკუზენი | 21 | 6 | 8 | 7 | 33-29 | 20 |
| ჰამბურგი | 21 | 8 | 4 | 9 | 30-29 | 20 |
| შალკე | 21 | 6 | 8 | 7 | 29-29 | 20 |
| შტუტგარტი | 21 | 7 | 6 | 8 | 36-39 | 20 |
| აინტრახტი | 21 | 7 | 5 | 9 | 23-32 | 19 |
| კიოლნი | 21 | 6 | 6 | 9 | 31-38 | 18 |
| ურდინგენი | 20 | 3 | 7 | 10 | 19-29 | 13 |
| დუისბურგი | 21 | 3 | 6 | 12 | 15-34 | 12 |
| ბოხუმი | 21 | 5 | 2 | 14 | 25-45 | 12 |
| ტსვ მიუნხენი | 20 | 2 | 7 | 11 | 21-42 | 11 |
| დინამო | 21 | 3 | 4 | 14 | 18-40 | 10 |

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისის პოლიციამ, ქართველი კოლეგებისა არ იყოს, რაუნდი ჩაატარა. რიერაჟზე წესრიგის მცველები მძინარე მეკარეებს, „საუთჰემპტონის" ზიმბაბველ ბრუს გრობელაარს და „უიმბლდონის" ჰოლანდიელ ჰანს სეიგერსს სახლებში დაადგნენ. შუადღისას „უიმბლდონისავე" ნიგერიელ ჯონ ფაშანუს საყვარელი მელისა კასავაკი დაატუსაღეს. დაახლოებით იმავე დროს ჩავარდა მალაიზიელი ბიზნესმენი ჰენსან ლიმი, ხოლო საღამოს ბირმინგემში თავად ფაშანუს მიაგნეს. საქმე ის ყოფილა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაგალითად, მალაიზიაში, მოქმედი ტოტალიზატორები ევროპასაც გადმოსწვდენიან და თამაშების ჩაწყობისთვის მიუყვიათ ხელი. გეხსომებათ, რომ პირველი ეჭვი ჭორიკანა გაზეთმა „სანმა" დათესა, როდესაც ნოემბერში გრობელაარის მექრთამეობაზე დაწერა. თურმე გრობელაარი ლუდს რომ მიუჯდებოდა, ძმაკაცებში ტრაბახობდა, ამდაამ გოლის გაშვებაში ამდენი და ამდენი ავიღეო. ერთ-ერთ ძმაკაცს ციმციმ ვიდეოკამერა აუღია და სულელური ბაქიაობა ჩაუწერია. ახლა ბრიუსი ცუდ დღეშია, თუმცა გულს ის უმშვიდებს, რომ ზიმბაბვეს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა ლაიონ მუგაბემ განაცხადა, ეს ამბავი ტყუილი მგონია და მეკარეს ნაკრებში მაინც გამოვიძახებო. „ჩელსის" მოთამაშე დენის უაისი კი ხულიგნობისთვის დააპატიმრეს. ლონდონში უაისს ტაქსის მძღოლი გაულახია და სამწლიან პატიმრობას ელოდა, თუმცა ჯერჯერობით თავდებით გამოუშვიათ. ეს ფეხბურთელი, რომელიც თავის დროზე „საუთჰემპტონმა" „უიმბლდონს" აჩუქა, ამ გუნდმა კი „ჩელსის" 1,6 მილიონ გირვანქად მიჰყიდა, წითელ-ყვითელი ბარათების მიღებით ყოფილა ცნობილი. „კრისტალ პალასის" ქრის არმსტრონგი კი, თრიაქის წევისთვის ფეხბურთს ოთხი კვირით რომ ჩამოაშორეს, მწვრთნელს ვადამდე სურდა დაებრუნებინა, მაგრამ არ გამოუვიდა. ამასობაში გაახსენდათ, რომ იმ მატჩში, ერიკ კანტონამ უზრდელ გულშემატკივარს თავ-ყბა რომ დაამტვრია, ზუსტად იგივე პოლ ინსმაც ჩაიდინა. ახლა ლაპარაკი ინსის დასჯაზეც დაიწყეს. „არსენალის" ყოფილ მწვრთნელს ჯორჯ გრემს კი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დაუდგინა, რომ მას ორი სკანდინაველი მოთამაშის თავის გუნდში გადაყვანაში 425 ათასი გირვანქა ქრთამი მართლაც აუღია. დანაშაული რომ გამომჟღავნდა, გრემმა ფული ხაზინას მიუტანა. ახლა მწვრთნელს თავის გასამართლებლად 21 დღე მისცეს. თუ არა და, ვინძლო, ფეხბურთიდან მოკვეთონ.

მალაიზიური მექრთამეობის ამბავი „ველური როზასავით" გაიწელა. სადღეისოდ ჩვენებებს ბუკმეიკერებს ართმევენ. ჩემპიონის, სინგაპურის გუნდის მეკარე დევიდ ლი კი შეიძლება ხუთი წლით საკანში ჩასვან. ლი თურმე საჭირო გოლების გაშვებაში, თითო მატჩში 350 000 დოლარს იჯიბავდა. სატუსაღოში 120 ეჭვმიტანილიდან უკვე 80 მოთამაშეა, ანუ თითქმის ლიგის მესამედი. ქვეყანაში ფეხბურთელთა ისეთი ნაკლებობაა, რომ მათ სხვაგან ეძებენ. სოჰის „ჟემჩუჟინის" ნახევარი უკვე იქ გადასახლდა.

შოტლანდიაში „დანდი იუნაიტედმა" იუგოსლაველი მწვრთნელი ივან გოლაჩი გაუშვა. გოლაჩი გასულ სეზონში საქმეს იმდენად კარგად უძღვებოდა, რომ გუნდი ქვეყნის თასს დაეუფლა. წლეულს კი თასიდანაც გავარდა და ჩემპიონატშიც ძავად აქვს საქმე.

საფრანგეთში დაიწყო სასამართლო, რომელზეც ბრალდებულნი მარსელის „ოლიმპიკის" პრეზიდენტი ბერნარ ტაპი და მისი ექვსი თანამზრახველი არიან. მათ 1993 წელს „ვალანსიენის" მოქრთამვა და გამოძიების დროს ჩვენებების გაყალბება ბრალდებათ. საქმე იოლად ვერ დამთავრდება, რადგან ტაპი მარსელელებს და საფრანგეთის ღარიბ პროლეტარებს ძლიერ ჰყვარებიათ. იხსენებენ, რომ ევროპარლამენტის არჩევნებში მან საკმარისი, 12,5 პროცენტი ხმები მიიღო. ჩემპიონატში კი „ნანტმა" „ბორდოსთან" 1:1 ითამაშა და 29-ე თამაში არ წააგო.

არგენტინაში დიეგო მარადონამ, რომელიც „რასინგის" მწვრთნელია, „ინდეპენდიენტეს" წინააღმდეგ თამაშის დროს თანამსაჯი გაწუწა. თურმე, მარადონას რომელიღაც მოთამაშე დაშავებულა, მისთვის მოედნის გარეთ უწამლიათ და როდესაც კვლავ თამაშში ჩართვას ცდილობდა, თანამსაჯს ყურადღება არ მიუქცევია. გაავებული მწვრთნელი მყის წყალს დასწვდომია.

ესპანელმა ბობოლა შერეკილმა, მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილმა, ამასწინათ ოქროს ჩაჩვზე გამობმულ პატარა ნიანგს რომ დაატარებდა, ადოლფო ვალენსიას ბრალი დასდო, ტრავმა მოიგონე, რათა არ ივაჯიშოო. „ბარსელონას" სახელგანთქმულ მწვრთნელს იოჰან კრუიფს კი შვილი აუჩანყდა, მცირე ხელფასს მიხდიო.

სამხრეთმა კორეამ, რომელიც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას იაპონიას ეცილება, ახალი იდეა წამოჭრა. ამ ქვეყანას სურს, რომ თუ ჩემპიონატს მას მიანდობენ, რამდენიმე თამაში ჩრდილოეთ კორეაში ჩატარდეს. თანაც კორეა, გინდ სამხრეთი იყოს, გინდ ჩრდილოეთი, ერთი რამ არის, ამიტომ გაერთიანებული გუნდით გამოვალთო. ერთიანი გუნდით თამაში კორეელებმა პორტუგალიაში ახალგაზრდათა პირველობაზე უკვე დააჭაშნიკეს.

აფრიკის ერთ-ერთი საკლუბო თასის გათამაშებაში ბენინის გუნდი ალჟირში არ ჩავიდა და შემდეგ ეტაპზე გასვლა მეტოქეს უფეშქაშა. ბენინელებს თურმე იმ ქვეყანაში ჩასვლისა შინებიათ, სადაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მოკლეს.

კვიპროსის ნაკრებმა შვედეთს უმასპინძლა — 3:3. მეხუთე წუთზე კუნძულელები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებზე ანგარიში გასათანაბრებელი გაზდომიათ. ბრნოში ჩეხებმა ფინელებს 4:1 მოუგეს, კოშიცეში სლოვაკებმა რუსებს 2:1. სტამბოლში თურქეთმა ისრაელს სძლია 1:0. საბერძნეთი — შვეიცარია 1:1, უნგრეთი — ლატვია 3:1.

ბელგიის ნაკრების მეკარე, დღევანდელობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მიშელ პრიუდომი, ბი-ბი-სის თქმით, ფეხბურთს თავს ანებებს.

## ბულგარეთს წასული საქართველოს კაცთა ნაკრები

| | ასაკი | კლუბი | ამპლუა | კეპი |
|---|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | | |
| ირაკლი ლეჟავა | 26 | გუმარი | მცველი | 3 |
| კახა მაჩიტიძე | 26 | გუმარი | მცველი, გარე ნახევარმც. | 2 |
| არჩილ ქავთარაშვილი | 23 | თბილისი | გარემარბი | 1 |
| პალიკო ჯიმშელაძე | 20 | რუსთავი | გარემარბი | - |
| ემზარ ძაგნიძე | 25 | აია | გარემარბი, შუამარბი | 4 |
| ნუგზარ მგელაძე | 26 | გუმარი | უნივერსალი | - |
| ლევან ჩიქვინიძე | 26 | გუმარი | შუამარბი | 1 |
| პაატა ტყაბლაძე | 26 | აია | შუამარბი, გარე ნახევარმ. | 1 |
| შოთა მოდებაძე | 21 | გუმარი | გარე ნახევარმცველი | 1 |
| ზაზა ხუციშვილი | 28 | რუსთავი | შერკინ. ნახევარმცველი | 3 |
| გუჯა იოვაძე | 22 | თბილისი | შერკინ. ნახევარმცველი | 2 |
| **მორკინალები** | | | | |
| გუგა ბაბუნაშვილი | 31 | აია | ბურჯი | 5 |
| ვახო ცქიტიშვილი | 25 | თბილისი | ბურჯი | 2 |
| ირაკლი ჩიქავა | 25 | გუმარი | კვაჭი | 3 |
| ლევან ცაბაძე | 22 | გუმარი | ბურჯი | 2 |
| აკაკი მაჭუტაძე | 21 | თბილისი | ბურჯი | 2 |
| ალეკო ლიბრაძე | 22 | თბილისი | მეორეხაზელი | 3 |
| გიო კახიანი | 20 | თბილისი | მეორეხაზელი | - |
| ზურაბ მჭედლიშვილი | 22 | გუმარი | მეორეხაზელი | - |
| თამაზ ხუადე | 30 | გუმარი | მეორეხაზელი | 9 |
| დიმიტრი ობოლაძე | 26 | გუმარი | ფრთა | 4 |
| ზვიად ლიპარტელიანი | 29 | აია | ფრთა | 2 |
| მამუკა ტყეშელაშვილი | 25 | თბილისი | ფრთა | - |
| ვიქტორ დიდებულიძე | 25 | გუმარი | შემკვრელი | 2 |



მერაბ მარჯანიშვილი



ნუგზარ ძაგნიძე

# დუგლასიანად, მაგრამ უნუგზაროდ

მტკნარი სიცრუე გამოდგა იანვარში დარხეული ჭორი, ქუთაისის „აიასა" და საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი მოსკოვის „ფილიში" გადავიდაო. ბატონი დუგლასი ბოლო ორი კვირის მანძილზე თბილისს ორჯერ ჩამოვიდა, მეორედ ეროვნული ნაკრების აიელი კანდიდატებიც თან ჩამოიყვანა და სათანადო შერჩევის შემდეგ გუნდს „მერსედესის" ავტობუსით გაუძღვა ბულგარეთში, სადაც ქართველებს ფირას კაცთა პირველობის „ბ2" ჯგუფის ტურნირი ელით.

ფირას ანუ „სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაციის" პირველობები აქამდე მიმოსვლით ეწყობოდა. ბოლო წლებში ეს ორგანიზაცია გაივსო აღმოსავლეთი ევროპის ბოგანო ქვეყნებით, რომლებიც, ყველა სხვა ბედნიერებასთან ერთად, ერთმანეთს გვარიანად არიან დაშორებული, რის გამოც მიმოსვლით სათამაშოდ საჭირო ფული არ მოეძევებათ. აი ამიტომ და კიდევ იმის გამო, რომ ფირას კვლავაც ჰგონებია, რომ საქართველოში გახურებული ომია (!?), „ბ2" ჯგუფის შეჯიბრების მასპინძლობა ბულგარეთს დაეკისრა.

ტურნირში ოთხი გუნდი ჩაებმება: საქართველო, ბულგარეთი, უნგრეთი და მოლდოვა. ჩვენები 23 მარტს ნახევარფინალში მასპინძლებს ეთამაშებიან, ფინალი კი კვირის ბოლოსთვისაა დანიშნული. რაც შეეხება ჯგუფის მეხუთე წევრს — ავსტრიას, მას ფული ვერც ამჯერად უშოვნია და ბულგარეთში არ ჩავა, მაგრამ ფირა ყურებზე ხახვსაც ვერ დააჭრის.

შემოდგომაზე ფირა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) წევრი (?!) გახდა და მის აღმასკომში ერთი წარმომადგენლის ყოლის უფლება მიიღო. აღსანიშნავია, რომ ამდენივე წარმომადგენელი ჰყავს იტალიას (!) ამ უცნაური შერწყმის შედეგად ფირას ჭაბუკთა პირველობა ძლიერი ქვეყნების შემატებით ნაღდ მსოფლიო პირველობად გარდაიქმნება, კაცთა პირველობის გამართვას კი, ცოტა არ იყოს, აზრი ეკარგება. ის პირველობა, რომელში საასპარეზოდაც ჩვენები ბულგარეთს გაემგზავრნენ, საშუალედოა: ვერც ვერსად გადახვალ და ვერც საითმე გავარდები. თავისს დროზე ფირა თავისს წევრებს შეპირდა, რომ აზრიან პირველობას 1995 წლის შემოდგომაზე დაიწყებს.

ჩვენები მაინც გაახარა უცხოეთში გასვლის პერსპექტივამ. რაც უნდა იყოს, ნაკრებს შარშან ივნისის მერე არავისთან უთამაშია: ლატვია პირზე შეჯდა, ორგზის არ გვეთამაშა, მაგრამ ფირაში საქმე ჩააწყო და თავისთვის მოგება ჩაათვლევინა; მერე, სექტემბერში ოდესაში გასამართი „შავი ზღვის თასიც" ჩაიშალა მონაწილეთა უპირობის გამო, ფირამ კი საშემოდგომოდ მეტოქეები ვერ გამოგვიძებნა, რაკილა ჩვენებმა დელეგატი ვერ მიავლინეს კონგრესზე, რომელიც [illegible] ძლის ნაპირზე.

ჩვენებს კიდევ უფრო მეტად გაუხარდა ბულგარეთში წასვლის პერსპექტივამ. საქმე ისაა, რომ ბრეჟნევის ხანაში თბილისელი და სოფიელი „რკინიგზელი რეგბისტები" ერთურთს ძმობდნენ და ერთურთთან სტუმრობდნენ. ბულგარელთა მაშინდელ მწვრთნელს, ამჟამად კი მათი რაგბის ფედერაციის გენერალურ მდივან გიორგი მარინკინს დღემდე ხსომებია უძრაობის ეპოქისეული სითბო. ამიტომ იყო, ჩვენებს ხალისით რომ დაყაბულდა და შეჯიბრებისწინა საწვრთნელი შეკრება გაუჩალიჩა, თანაც მთელს დელეგაციას სულზე დღიური 10 დოლარი გამოუყო.

საქართველოს ნაკრები სხვაფრივ ვერც მოემზადებოდა. ეგ კი არა და რაგბის კავშირის პირველ ვიცე-პრეზიდენტ თენგიზ რუხაძეს რომ არ ეყოჩაღა და გუნდისთვის სამგზავრო ფული არ ეშოვა, ჩვენებს ეს შეჯიბრებაც გაუცდებოდათ. ნაკრების მწვრთნელებმაც: დუგლას კავთელაშვილმა (რაგბის კავშირის მწვრთნელთა საბჭოს ვერსიით) და თბილისელმა თემურ ბენდიაშვილმა (რაგბის კავშირის პრეზიდენტის ვერსიით) ნაუცბათევად შეკრიბეს ბიჭები, რის გამოც ნაკრები მოისაკლისებს 7 კეპის პატრონ შუამარბ მერაბ მარჯანიშვილს, შუამარბ მერაბ ბესელიას (3 კეპი), ზორბა მორკინალ გია რაფავას (3 კეპი), აშშ-ში გადახვეწილ 8 ნომერ გია გიუნაშვილს (10 კეპი, რაც ეროვნული რეკორდია) და, რაც მთავარია, 1980-იანი წლების უდიდეს მოთამაშეს, ქუთაისელ ნუგზარ ძაგნიძეს (9 კეპი). გარდა ამისა, ბულგარეთში პირველად მოხდება, რომ საქართველო მუქი ლურჯი, შოტლანდიისებრი კვართებით ითამაშებს. რას გააწყობ, თუ შინდისფერი ვერ გვიშოვია!

ზაალ ბიბინეიშვილი

# ოქლენდი აგებს და აგებს...

ტრანსვაალის „ოქროს ლომებმა" შარშან ტაკაპუნაში ნაწვნევი მარცხისთვის შური იძიეს — „ელის პარკზე" დაამარცხეს ჩრდილოეთი ნავსაყუდელი. მასპინძლები 54-ე წუთზე 17:6 იგებდნენ, მაგრამ მერე გული დაიარხეინეს და სტუმრებს იმდენად შეამცირებინეს ანგარიშის სხვაობა, რომ ამათ ღირსეულად (7 ან ნაკლები ბურთით) წაგებისათვის დაწესებული ერთი ქულა რომ რგებოდათ. ტაკაპუნელებმა ლელო 77-ე წუთზე გაიტანეს და თამაშის განახლებისთანავე ბურთი თავისივე ნახევრიდან ხელდახელ გადაიტანეს მეტოქისაზე, მაგრამ აქ სამხრეთაფრიკელმა მსაჯმა იან როჯერსმა იმარჯვა და ვადამდე ერთი წუთით ადრე უკანასკნელად ჩაჰბერა სასტვენს.

როჯერსმა მანამდეც ივაჟკაცა — გუნდებს თითო გატანილი ლელო გაუუქმა, აქაო და გატანის პროცესში მავანმა მოიერიშემ მეტოქეს მუშტი უთავაზაო. ამის გამო იყო, პირველი ნახევარი ოდენ 6:3 რომ დასრულდა: იოჰანესბურგელი გევინ ჯონსონის ორ საჯარიმოს ტაკაპუნელმა ვორენ ბერთონმა ერთით უპასუხა. 42-ე წუთზე ტრანსვაალის გარე ნახევარმცველმა ჰენი ლერუმ არეკნი გაიტანა, სამი წუთის შემდეგ კი მორკინალთა იერიში კვაჭ ჯეიმზ დოლტონის ლელოთი დაგვირგვინდა — 14:3.

„შიმოლა პარკში" წინა ტურიდან ნაცნობი სურათი გამეორდა — ლელო ვერც ამჯერად გავიდა და გამარჯვებულიც დამრტყმელთა შეჯიბრმა გამოავლინა. ნარინჯელთა მცველმა ერიკ ჰერბერტმა დაწიხლვისათვის დანიშნული საჯარიმოთი პირველივე მეოთხედში გახსნა ანგარიში, მაგრამ მერე ტონგამ სიცხეს უკეთ აუღო ალღო, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათმა მცველმა და დამრტყმელმა ტუ-იპოლოტუმ ხუთიდან ოთხი გოლი გაიტანა და სერიალის დებიუტანტი ზღვისრეთელები 12:3 დააწინაურა. მეორე ნახევრის დაწყებისთანავე ჰერბერტმა ორი საჯარიმოთი სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა, 70-ე წუთზე მეხუთე დარტყმით მეოთხე გოლი გაიტანა და ანგარიში გააყაიმა, 77-ე წუთზე კი გადამწყვეტი არეკნი შეაგდო. მარცხის მიუხედავად ტონგა მაინც კმაყოფილი დარჩებოდა მსოფლიო თასის მასპინძელი ქვეყნის პირველი მოხილვით.

ოქლენდმა მეორედაც წააგო, ამჯერად შინ, „ერიქსონ სთეიდიუმზე". მათმა და „ოლ ბლექსის" დამრტყმელმა შეინ ჰოვარსმა ერთბაშად 5 საჯარიმო გააფუჭა. მასპინძელთა შერკინება გათითოკაცებული თამაშობდა, გაზელანდიელებული სამოელი 9 ნომერი ჯუნიორ ტონუუ კი ერთთავად მცდარ გადაწყვეტილებებს იღებდა. „ზე-ათის" ჩემპიონ ქვინზლენდსაც ეს უნდოდა — მეტოქე გვარიანად დაამარცხა: გაუტანა 4 ლელო (სმითი - 2, ლითლი, ქოქერი), 4 გარდასახვა (ილზი) და არეკნი (კაპლი). ოკლენდის ლელოები ტონუუმ და ფიჯელმა სეტუტუმ გაიტანეს, ჰოვარსმა კი ორი გოლით დანარჩენი 5 ქულა მოიმკო.

ყაფლან ჯანდიერი

**„ზე-ათის სერიალი" — SUPER TEN SERIES**
**სამხრეთი ნახევარსფეროს პროვინციათა პირველობა**

„ა" ქვეჯგუფი. 11 მარტი: ნარინჯი (ბლუმფონტეინი, სამხრეთი აფრიკა) — ტონგა (ნუკუალოფა) 15:12; ოქლენდი (ახალი ზელანდია) — ქვინზლენდი (ბრისბენი, ავსტრალია) 15:31. მდგომარეობა: ქვინზლენდი და ნარინჯი 8-8 ქულა (2 თამაშიდან); ტონგა 1 (1); ოქლენდი 1 (2); ქენთებრი (ახ. ზელ.) 0 (1)

„ბ" ქვეჯგუფი. 11 მარტი: ტრანსვაალი (იოჰანესბურგი, სამხრეთი აფრიკა) — ჩრდილოეთი ნავსაყუდელი (ტაკაპუნა, ახალი ზელანდია) 17:14. მდგომარეობა: ტრანსვაალი 8 (2); ოთაგო (ახ. ზელ.) 4 (1); ახ. სამხრ. უელსი (ავსტრალია) და ჩრდ. ნავსაყუდელი 1-1 (1); დას. კონცხი (სამხრ. აფრიკა) 0 (1)

# „მეომრებმა" კი ქერვინიც გადაიბირეს

მართალია, ოქლენდი „ზე-ათის სერიალში" მარცხდება, მაგრამ ქალაქი მაინც იმედით ცხოვრობს, რაკილა ორ კვირაში იქაურთა ახალი იმედი — ლიგის რაგბის კლუბი „ოქლენდელი მეომრები" ავსტრალიის „ვინფილდის თასის" გათამაშებაში უნდა ჩაებას.

ახალ ზელანდიაში რაგბი ერთობ ძნელი შესავიწროებელია, მაგრამ „მეომრების" (ვორიორზ) ბოლოდროინდელი წარმატებები სწორედ რომ საპირისპიროს გვაფიქრებინებს.

თავად განსაჯეთ: 7 მარტს გამოცხადდა, რომ „მეომრებმა" ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს ჯონ ქერვინს, ვინაც რაგბს თავი ვითომდაც სამსახურებრივი მოუცლელობისა და მოყირჭების გამო შარშან ოქტომბერში გაანება.

1964 წლის 16 დეკემბერს დაბადებული ქერვინი სიმაღლით 190 სანტიმეტრია, მაგრამ თავიდანვე გარემარბად თამაშობდა. ახალი ზელანდიის ნაკრებ „ოლ ბლექსში" 1984-94 წლებში ჯონმა გამართა 63 ტესტი და გაიტანა იმდენი ლელო, რომ მხოლოდ ავსტრალიელ ქემფიზისა და ინგლისელ რ. ანდერვუდს ჩამორჩება. ქერვინი მსოფლიოს 1987 წლის ჩემპიონია. იმ შეჯიბრების 6 თამაშში 6 ლელოც გაუტანია. ამის გარდა, მის მიღწევებში გამოსაყოფია 4 ლელო არგენტინის წინააღმდეგ 1985 წელს გამართულ ორმატჩიან სერიაში, 6 ლელო უელსთან (1988, ორ თამაშში), 4 ლელო ავსტრალიასთან (იმავე წელს, ოღონდაც სამ თამაშში), აგრეთვე 1993 წლის სექტემბერში ერთ-ერთ საშინაო მატჩში გატანილი ერთბაშად 9 ლელო, რაც ქვეყნის რეკორდი ყოფილა.

1989 წლის შემოდგომაზე „ოლ ბლექსის" უელს – ირლანდიის ტურნეს დროს ქერვინს აქილევსის მყესი გაუწყდა და მისი დაღმასვლაც დაიწყო. 1991 წლის მსოფლიო თასზე ჯონმა ერთადერთი ლელო გაიტანა. 1992 წლიდან შეიცვალა ნაკრების ხელმძღვანელობა. ახალმა უფროსობამ ორი წლის მანძილზე ქერვინი სამჯერ დაითხოვა გუნდიდან, 1993 წლის შემოდგომაზე კი ინგლის – შოტლანდიის ტურნეზე არც წაიყვანა. შარშან ჯონი შინ ყველა, ხუთივე ტესტში ათამაშეს საფრანგეთთან და სამხრეთ აფრიკასთან, მაგრამ „ბლედისლოუს თასზე" ავსტრალიასთან თამაშის წინ ნაკრებიდან ისევ გარიცხეს. ამან დიდ გარემარბს საერთაშორისო რაგბზე საბოლოოდ აუცრუა გული და განდგომა გამოაცხადებინა.

ქერვინს დეპრესია ადრეც ემჩნეოდა. აკი 1992 წელს გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ წიგნში გულახდილადაც დაუწერია, ერთ-ერთი ტესტის წინ გვირაბიდან მოედანზე რომ გამორბოდა, თავისთვის ძალა როგორ დაუტანებია, შიშისგან უკან, გასახდელში რომ არ შებრუნებულიყო. გარემარბი შავ-ბნელ ფიქრებს სხვა დროსაც ხშირად შეუწუხებია. საქმისთვის ვერ უშველია ვერც იტალიის „ბენეტონ ტრევიზოში" თამაშს და ვერც იტალიელი ცოლის მოყვანას.

ოქლენდელ ლიგელებს ერთწლიანი კონტრაქტი ქერვინისთვის რაგბიდან განდგომისთანავე შეუთავაზებიათ, მაგრამ ჯონს ვაჟკაცურად ულიარებია, დიდ სპორტს თავი გავანებეო. გამოხდა სულ რაღაც ოთხი თვე, ჩამოწერილ ვარსკვლავს გადაუფიქრია და ლიგელებს ერთის მაგივრად ორი წლით შეამხანაგებია. თან ისიც განუცხადებია, ლიგის რაგბი ძალიან მომწონს და ამ ახალ სარბიელზე ჩემი შესაძლებლობების 120 პროცენტსაც წარმოვაჩენო.

ამით რაგბმა ერთი ვარსკვლავიც დაკარგა, ლიგას კი ერთიც შეემატა. არადა, „ოლ ბლექსს" სულ რაღაც ორთვენახევარში სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო თასზე ასპარეზობა მოელის. ემზადება ახალი ზელანდიის ლიგის ნაკრებიც, რომელსაც „კივი" ჰქვია: ოქტომბერში ინგლისში უნდა გაიმართოს რაგბიდან ლიგის გამოყოფის ასი წლისთავისათვის მიძღვნილი საიუბილეო მსოფლიო თასი. „კივის" უკანა ხაზში უკვე ჭველად ითამაშებენ რაგბიდან გაქცეულები: ფრანო ბოტიკა, კრეგ ინესი, ვაიგა თუიგამალა, ჯონ თიმუ და **ჯონ ქერვინი**.




# 1999, უელსი, 20 გუნდი

შაბათს ირბ-ის წლიურმა სხდომამ დაადგინა, რომ 1999 წლის მეოთხე მსოფლიო თასი გაიმართოს უელსში. შეჯიბრებაში ამჟამინდელი 16-ის მაგივრად 20 გუნდი იასპარეზებს. მათ დაყოფენ ოთხ ქვეჯგუფად, რომელთა ზოგიერთი თამაშიც 1991 წლისეულ ყაიდაზე შოტლანდიაში, ინგლისში, ირლანდიასა და საფრანგეთში გაიმართება.

უელსი მეოთხე მსოფლიო თასის სამასპინძლოდ იმთავითვე რჩეულად მიიჩნეოდა, რაკილა ჯერ კიდევ 1988 წელს გადაწყდა, რომ მსოფლიო რაგბის ალლუმისათვის მონაცვლეობით ემასპინძლათ სამხრეთისა და ჩრდილოეთ ნახევარსფეროებს, 1991 წლის ფინალისათვის კი ინგლისს ემასპინძლა იმ პირობით, რომ 1999 წელს ფინალი უელსს ხვდებოდა.

მოახლოვდა მეოთხე მსოფლიო თასის მასპინძლის არჩევის დრო და ვითარება რადიკალურად შეიცვალა. უელსი რაღაც დეტალებზე ვერ მოურიგდა მოზიარე ირლანდიასა და შოტლანდიას და მათი მხარდაჭერაც ხელიდან გამოეცალა. სამაგიეროდ, ავსტრალიამ წარადგინა ერთი შეხედვით ფანტასტიკური განაცხადი: ამ ქვეყანას მასპინძლობაში უნდა შეხიდებოდნენ ახალი ზელანდია და ... იაპონია. მერე ისევ უელსმა იმარჯვა და დაუბრებულ პარტნიორთა შემორიგების გარდა საფრანგეთიც შეიამხანაგა, ავსტრალიის პრეტენზიების ჯობნის შემდეგ კი მსოფლიო თასის ღვეზელი ინგლისსაც უწილადა.

ცოტა უცნაური ჩანს მონაწილეთა რიცხვად ოცის არჩევა. ამ შემთხვევაში ქვეჯგუფებში ხუთ-ხუთი გუნდი მოხვდება, რაც შეჯიბრს ერთი კვირით გაახანგრძლივებს, მაგრამ ყოველ ტურში ოთხ, კენტად დარჩენილ გუნდს უქმობა მოუწევს. უფრო უპრიანი იქნებოდა 24 მონაწილის ყოლა: ტურნირი მეტად აღარ გაიწელება; სამაგიეროდ, მეტი გუნდი დააჭაშნიკებს მსოფლიო თასის დასკვნითი სტადიის ატმოსფეროს.

## საქართველოს ჩემპიონატი

ორშაბათი, 13 მარტი

თორსი — გეორგიკა 69:59

თორსი: ხარაძე (8), ცაგარეიშვილი (7), მიქაძე, ქევხიშვილი (11), სპარსიაშვილი (11), ჩხეიძე (20), ორჯონიკიძე (11)

გეორგიკა: გაჩეჩილაძე (2), ჩიქოვანი (13), მერკვილაძე (10), ჭეიშვილი (8), დიხამიძე (12), ძიძიგური (12), კობიძე, წივწივაძე, ეგუტია (2)

დინამო — შევარდენი 92:69

დინამო: ცაგარეიშვილი (4), დავითულიანი (14), ვაშაკიძე (10), ქარაბაკი (22), გოგუა (10), სხიერელი (1), მაისურაძე (7), კილაძე (3), ცხვედიანი (21), რატიანი

შევარდენი: ისაკაძე (29), მაჭავარიანი (29), სართანია, ინაძე (8), ქავთარაძე (3), ესიტაშვილი (4), ლვინეფაძე, თაბუკაშვილი, დავარაშვილი (4)

აზოტი — თსუ 84:60

აზოტი: აბზიანიძე, გაბისონია (7), კიკვიძე (5), ქობულაძე (33), მ. ბერუაშვილი (26), კეჭაყმაძე (8), კოჭლამაზიაშვილი (4), ნიკლაური

თსუ: ნიკოლაძე (3), კაზანჯიანი (25), წოწელია (10), დოლმაზაშვილი (10), არსიაშვილი (2), მეჭურჭლიშვილი (6), ბაბიაშვილი (2), უბილავა (2)

ქუთაისი — მერანი 84:77

ქუთაისი: ხაზარაძე (3), დევიძე (11), გუგუციძე, ბერეკაშვილი (43), გუმბერიძე (7), ჯალალანია (8), თურქაძე, ქათამაძე (12)

მერანი: უძილაური (31), გიგაური (11), ანდღულაძე (8), ტალაბაძე (23), შველიძე (4), ბარბაქაძე

სამშაბათი, 14 მარტი

კაქტუსი — თსუ 100:68

კაქტუსი: თორთლაძე, აბულაძე (14), გ.ნაცვლიშვილი (2), შანიძე (10), ოთიურიძე (14), აბრამიძე (23), ვ.ნაცვლიშვილი (10), ბერძენიშვილი (8), ჩხეიძე (6), ახალკაცი (6), ა.ულენტი (7)

თსუ: ჩხეტია (2), უბილავა (3), მესხი (2), კაზანჯიანი (25), ნიკოლაძე (7), დოლმაზაშვილი (2), არსიაშვილი (3), სულავა, ბაბიაშვილი (1), მეჭურჭლიშვილი (2), წოწელია (21)

დინამო — გეორგიკა 113:72

დინამო: ცაგარეიშვილი (19), დავითულიანი (2), ვაშაკიძე (27), ქარაბაკი (14), გოგუა (8), სხიერელი (16), მაისურაძე (12), კილაძე (4), დარსაძე (8), რატიანი (3)

გეორგიკა: ჩიქოვანი (30), მერკვილაძე (4), ჭეიშვილი (9), ახობაძე, დიხამიძე (6), ძიძიგური (22), კობიძე (1), წივწივაძე, დოლიძე, ეგუტია

აზოტი — ქუთაისი 89:67

აზოტი: გ.ბერუაშვილი (4), გაბისონია (4), კიკვიძე (10), გოგოლაძე (2), ხაიაური, კოჭლამაზაშვილი (10), ქობულაძე (14), მ.ბერუაშვილი (27), კეჭაყმაძე (16), ნიკლაური (2)

ქუთაისი: ჭეიშვილი (4), ხაზარაძე, დევიძე (1), გუგუციძე (3), ბერეკაშვილი (21), გუმბერიძე (18), ჯალალანია (6), თურქაძე (2), ქათამაძე (4), ნიორაძე (4), სამხარაძე (4)

ვითა — თორსი 90:59

ვითა: ვაშაკიძე (27), ბაქრაძე (7), კობეშავიძე (12), ხანაძე (9), ბეჟანიშვილი (6), დადიანი (12), კოკოლიშვილი (5), ჩუბინიძე (7), ორმოცაძე (5)

თორსი: ცაგარეიშვილი (5), ქევხიშვილი (8), სპარსიაშვილი (8), ორჯონიკიძე (7), ჩხეიძე (16), მიქაძე (7), ხარაძე (6)

ოთხშაბათი, 15 მარტი

შევარდენი — გეორგიკა 75:71

შევარდენი: ისაკაძე (6), მაჭავარიანი (36), ინაძე (8), ქავთარაძე (3), ესიტაშვილი (5), ლვინეფაძე (13), თაბუაშვილი (3), დავარაშვილი (1)

გეორგიკა: ჩიქოვანი (2), გაჩეჩილაძე, გორგაძე, მერკვილაძე (4), ჭეიშვილი (21), ახობაძე, დიხამიძე, ძიძიგური (29), კობიძე (15), წივწივაძე

ქუთაისი — თსუ 83:74

ქუთაისი: ხაზარაძე (7), დევიძე (2), ბერეკაშვილი (29), გუმბერიძე (25), ჯალალანია (12), თურქაძე (2), ქათამაძე (6)

თსუ: კაზანჯიანი (11), ნიკოლაძე (9), ულენტი (9), დოლმაზაშვილი (3), არსიაშვილი (8), ბაბიაშვილი (2), წოწელია (31)

კაქტუსი — მერანი 95:59

კაქტუსი: თორთლაძე (17), აბულაძე (27), ულენტი (7), გ. ნაცვლიშვილი, შანიძე, ოთიურიძე (11), აბრამიძე (3), ვ. ნაცვლიშვილი (12), ბერძენიშვილი (8), ჩხეიძე (4), ახალკაცი (6)

მერანი: ქურასბედიანი, ბარბაქაძე (4), ტალაბაძე (4), შველიძე (2), ი.ბერიშვილი (5), დ.ბერიშვილი (19), მაჩალაძე (25)

| | თ | მ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| კაქტუსი | 10 | 10 | 0 | 1019-653 |
| ვითა | 11 | 10 | 1 | 1172-709 |
| დინამო | 11 | 9 | 2 | 1067-772 |
| მერანი | 11 | 6 | 5 | 874-880 |
| თორსი | 11 | 6 | 5 | 730-898 |
| აზოტი | 11 | 6 | 5 | 896-891 |
| ქუთაისი | 12 | 4 | 8 | 824-1045 |
| თსუ | 12 | 3 | 9 | 814-1012 |
| შევარდენი | 11 | 2 | 9 | 703-949 |
| გეორგიკა | 12 | 0 | 12 | 782-1172 |

ბომბარდირები

| | ქ | თ | საშ |
|---|---|---|---|
| კახა მაჭავარიანი(შევ.) | 305 | 11 | 27,7 |
| პაატა გურასპაული (—) | 289 | 10 | 28,9 |
| შოთა უძილაური (მერ.) | 280 | 11 | 25,4 |
| დავით ბერეკაშვილი (ქუთ.) | 276 | 12 | 23,0 |
| ლევან ქარაბაკი (დინ.) | 258 | 11 | 23,4 |
| მიხეილ ბერუაშვილი (აზ.) | 255 | 12 | 21,2 |
| ვახტ. ნაცვლიშვილი (კაქტ.) | 231 | 11 | 21,0 |

# გიას და ლევანის შოუ



საქართველოს ჩემპიონატი
ვითა თბილისი — დინამო თბილისი 97:81 (51:38)
თბილისი, ვერის ბაღი, 15 მარტი
მსაჯები: რ. ხომერიკი; რ. გელოვანი

| ვითა | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4გ. ვაშაკიძე | 16 | 4 | 4 | — | 10 | 10 | 3 |
| 13 დადიანი | 5 | 1 | 1 | — | — | — | 2 |
| 6 კობეშავიძე | 19 | 3 | 1 | — | — | — | — |
| 5 ბაქრაძე | 6 | 8 | 2 | 1 | — | — | 1 |
| 20 ორმოცაძე | 13 | 5 | 3 | 1 | 2 | 2 | 4 |
| 12 ბეჟანიშვილი | 2 | 2 | — | — | — | — | 5 |
| 8 სანაძე | 33 | 3 | — | — | 1 | 1 | 4 |
| 9 ჩერქეზიშვილი | 3 | 2 | 1 | — | 2 | 1 | — |
| სულ | 97 | 28 | 12 | 2 | 15 | 14 | 19 |

| დინამო | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 დარსაძე | 7 | 4 | — | — | 3 | 3 | 2 |
| 6 ცაგარეიშვილი | 8 | 1 | — | — | 4 | 2 | 4 |
| 12 ქარაბაკი | 25 | 7 | — | 1 | 4 | 4 | 4 |
| 4 ცხვედიანი | 26 | 4 | 2 | — | 4 | 3 | 1 |
| 8 გ.ვაშაკიძე | 2 | 2 | — | — | 2 | — | — |
| 5 მაისურაძე | 7 | 3 | — | — | — | — | 5 |
| 11 სხიერელი | 6 | 2 | 1 | 1 | — | — | 1 |
| 7 დავითულიანი | — | 1 | — | — | — | — | 1 |
| სულ | 81 | 24 | 3 | 2 | 17 | 12 | 18 |



გია სანაძე — ლევან ქარაბაკი

წინა ტურის მსგავსად, მეტოქეებმა თამაში ცენტრების გარეშე, საშუალო მანძილიდან სროლების იმედად დაიწყეს. დინამოელთაგან ეს საქმე ცხვედიანს უნდა ეკისრა, ვითელთაგან — კობეშავიძეს. ვითელმა უფრო მალე გაიწაფა ხელი და თავისი გუნდის საწყისი 13 ქულიდან 9 ამისა იყო. მეათე წუთზე ჩერქეზიშვილმა და კობეშავიძემ ზედიზედ ჩაჭრეს ბურთები და ამ უკანასკნელმა ორი შედეგიანი გარღვევაც მოაწყო — 24:14. „დინამომ" ამ დროს სხიერელი გამოიყვანა, რითაც ფარის მოგება თითქოს დაიბევა. მიზანი ნაწილობრივ მიღწეული იყო, მაგრამ ბაქრაძემ ბოლომდე არ გაახარა — შესვენებამდე „ვითას" 11 მოხსნიდან 6 მის ანგარიშზე იყო. თუმცაღა, დინამოელებმა ამასობაში დრო იხელთეს და სხვაობა 4 ქულამდე შემცირეს. აქედან „ვითას" ავტომატიც ამუშავდა — გია სანაძემ სამქულიანით მეტოქის აღმაფრენა გაანელა და ტაიმი თავისიანებს 13 ქულა მოაგებინა.

მეორე ტაიმი საინტერესოს არას უქადდა მაყურებელს. მაგრამ უეცრად „ვითა" აირია და „დინამოსაც" ეს უნდოდა: ცხვედიანმა ორი სამქულიანი ჩააგდო, ქარაბაკმა დააფარა, სხიერელმა ბურთი ჩაჭრა და ქარაბაკმა ისევ 4 ქულით შეამცირა ანგარიში 53:49. დადიანის სამქულიანმა თითქოს გადაწურა „დინამოს" იმედები, მაგრამ აქ ლევან ქარაბაკმა სპექტაკლი მოაწყო: ზედიზედ სამჯერ ისროლა ზუსტად საშუალო მანძილიდან, შემდეგ თავის ფარზე მოხსნა ბურთი და ცხვედიანმა ამ მატჩში პირველად და უკანასკნელად დააწინაურა „დინამო" — 57:56. ამის მერე ანგარიში კიდევ სამჯერ გათანაბრდა, 61:61-ზე კი სანაძემ მორიგი სამქულიანი ჩააგდო (სულ მატჩში — 6) და ანგარშმა სწრაფად იწყო ზრდა. 70:65-ზე ცხვედიანმა ფარქვეშ მარტოდ დარჩენილ გურამ ვაშაკიძეს მისცა პასი, ამან კი, გაურკვეველია, როგორ, მაგრამ აცილა. სანაძესაც ეს უნდოდა — გულგატეხილ დინამოელებს ზედიზედ ორი ბურთი ჩაუგდო და გამარჯვებულის ვინაობაც წინასწარვე ცნობილი გახადა.

მერაბ რატიშვილი

# საკეთებელი ჯერაც ბევრია



ისრაელში საქართველოს ნაკრების გამოსვლის შესახებ გულშემატკივრებმა უკვე იციან, ამიტომ იქ გამართულ მატჩებზე დაწვრილებით ყურადღებას აღარ გავამახვილებ. ნება მომეცით, შემოგთავაზოთ ჩემი მოსაზრებები ამ ტურნეს შესახებ და თან ნაკრების წევრთა მომზადების დონეც შევაფასო.

ისრაელში ჩვენ დავიწყეთ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადების პირველი ეტაპი. უფრო სწორად, ჩავიფიქრეთ, რომ დაგვეწყო. იქ ხუთი მატჩი გავმართეთ. პირველ ორში გეგმა-ჩანაფიქრი ვერ განვახორციელე. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა: გუნდი შეუთამაშებელი იყო, ბიჭებს 4 თვის მანძილზე კალათბურთი არ ეთამაშათ, რადგან ჩემპიონატი შეწყვეტილი იყო და მხოლოდ ფიზიკურად ვარჯიშობდნენ. ის ათი დღე, თბილისში რომ შევიკრიბეთ ისრაელის წინ, არასკმარისი აღმოჩნდა. მიუხედავად ამის, ბოლო შეხვედრებში მოთამაშეებმა კარგად დაიწყეს მითითებების შესრულება. ძირითადად ყურადღებას დაცვას ვაქცევდით. ერთ-ერთ ელემენტად ვამუშავებდით ზონურ პრესინგს. ერთ თამაშში 5 წუთით მივმართეთ ამ პრესინგს და მეტოქეს ბურთი იშვიათად გადმოჰქონდა ჩვენს ნახევარზე. ის ხუთი კაცი, ვისაც ეს დავავალე, ლამის იყო მოედანზე დაეცა, მაგრამ საქმე მაინც გააკეთეს.

აქვე შევნიშნავ, რომ თავისი რეალური შესაძლებლობები ვერცერთმა კალათბურთელმა ვერ გამოავლინა. ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო ამას კლიმატიც დაერთო. ბიჭები მიძინებულებივით იყვნენ და დიდი ხანი სჭირდებოდათ წონასწორობის აღსადგენად. ვიმეორებ, ძირითადი სამუშაო დაცვაში გვქონდა, თუმცა გასაკეთებელი სხვაც ბევრი გვაქვს. მოთამაშეები ეპიზოდურად თუ მოქმედებდნენ დაცვაში კარგად. ვერ ვიტყვი, რომ ამას რეგულარული ხასიათი ჰქონოდა. ძალზე გავიჭირდა ევროპისაგან განსხვავებული წესების, უფრო სწორედ, წესების სხვანაირი აღქმის გამო. როცა ჩავედით, ბიჭებს ვუთხარი, რომ იქნებოდა მეტად მჭიდრო თამაში. მოსალოდნელი იყო პატარ-პატარა ხელისკვრებიც და ზომიერი უხეშობაც. ევროპაში ამაზე ჯარიმას აღარ იძლევიან. თავიდან ამის გამო გაგვიჭირდა, შემდეგ მივეჩვიეთ და ჩვენც ასე ავთამაშდით. ახლა მინდა ფედერაციაში შევიტანო თხოვნა, რომ საქართველოს ჩემპიონატის თამაშებზე მსაჯობა ცოტა ლიბერალური გახადონ, რათა მოთამაშეებს მჭიდრო (და არავითარ შემთხვევაში უხეში) თამაშის საშუალება ჰქონდეთ. ამის მიჩვევის გარეშე წარმატებაზე ფიქრიც არ შეიძლება.

ახლა კი თითოეული მოთამაშის შესახებ ისრაელში ნათამაშები მატჩების მიხედვით.

**ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი** — მან ვერ მიჩვენა, რა შეუძლია. არადა, მისი შესაძლებლობები ჩემთვის კარგადაა ცნობილი. არა იმიტომ, რომ მეტოქე იყო ძლიერი ან სხვა გარეშე ფაქტორმა იმოქმედა, უბრალოდ, შინაგანად ვერ მოემზადა. კლიმატმაც ძლიერ იმოქმედა მასზე.

**ირაკლი ვაშაკიძე** — კმაყოფილი ვარ. რაც დავავალე, ყველაფერი გააკეთა.

**პაატა გურასპაული** — იგივე შემიძილა ვთქვა. ვაშაკიძესთან ერთად უკანა ხაზის კარგი წყვილი მეკრა.

**რევაზ ჩხეიძე** — იგი ყველაზე მეტად დამეჩაგრა, რადგან ვერ ვათამაშე, რამდენიც უკანა ხაზის სხვა მოთამაშეები. ჩხეიძე, მოგეხსენებათ, ფორვარდია. ნაკრებში უკან დავწიე და სანამ ამ ახალ ამპლუას შეეჩვეოდა, ცოტა გაუჭირდა. მერე ამასაც აუღო ალღო და ათამაშდა. სასაყვედურო არაფერი მაქვს.

**გია სანაძე** — ერთადერთი კაცი, ვინც ნორმალურ ფორმაში იყო. სანაძისგან მივეჩვიეთ, რომ თითქოს დაცვაში ვერ თამაშობს. ისრაელში ეს ვერ დავინახე. გიამ დაცვაშიც რიგიანად ითამაშა, ბურთებიც ჩააგდო და თავისი შესაძლებლობების 70 პროცენტიც გამოავლინა. თუ ვინმეს თამაშს კარგი შეფასება ვუწოდოთ, პირველ რიგში სანაძისას.

**მიხეილ კობეშავიძე** — პირველივე თამაშზე ბრძოლის წყურვილით გამოვიდა, მაგრამ ვერ გაარსახლვრა და გადაიწვა. ამის გამო თამაში არ გამოუვიდა. მეორე მატჩში დაშავდა და მერე აღარ უთამაშია.

**ვლადიმერ ბეჟანიშვილი** — ბევრმა თამაშმა არ მიუწია. რაც ითამაშა, ნორმალურად და კმაყოფილიც ვარ.

**ზურაბ ჩუბინიძე** — ეს ნიჭიერი ბიჭი აბსოლუტურად დაიკარგა. იგი პირველად იყო მიწვეული ნაკრებში და, ჩემი აზრით, ამან ფსიქოლოგიურად მძიმედ იმოქმედა მასზე.

**ირაკლი ბაქრაძე** — სამი თვის უვარჯიშებელს ძლიერად თამაშს ვერ მოვთხოვდი. თუმცაღა, რაც კარგი თვისება აქვს, ვგულისხმობ დაცვის ელემენტებს, ყველაფერი გამოავლინა. მისი ამჟამინდელი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს მდგომარეობა მისი პოტენციალის გათვალისწინებით, აშკარად არ მაკმაყოფილებს. ირაკლის ბევრი სამუშაო აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერს გაართმევს თავს.

**ვახტანგ ნაცვლიშვილი** — პირველი თამაშის მეხუთე წუთზე ფეხი გადაუბრუნდა. ითამაშა მხოლოდ ბოლო ორ მატჩში. რაც დავავალე, შემისრულა.

**კახა შენგელია** — თუ იგი ტრავმას მოირჩენს და წონას დაიკლებს, პრეტენზიები თითქმის აღარ მექნება. აკლია სათამაშო პრაქტიკა, თუმცა, კრიტიკულ მომენტებში თავი კარგად გამოიჩინა.

**დავით ბერძენიშვილი** — არ ველოდი დათოს ასეთ კარგ თამაშს. იგი ახალგაზრდაა, გამოცდილებაც აკლია, მაგრამ ისრაელში არცერთ მეტოქეს არ შეუშინდა და მათი უმრავლესობა დაჩაგრა კიდეც.

აი, ასე გამოიყურებოდნენ ჩვენი მოთამაშეები ისრაელში. ინგლისამდე დარჩენილი გვაქვს ორი თვე. ვფიქრობთ გერმანიაში გამგზავრებას. ოღონდ ეს ისე გვინდა მოვახერხოთ, რომ ჩემპიონატს ხელი არ შევუშალოთ. რადგან მის დროულად დასრულებაში თავად ვართ დაინტერესებულნი. ყველა მოთამაშემ, ისრაელში ნამყოფმაც და ნაკრების სხვა კანდიდატებმაც, იცის რა უნდა გააკეთოს თავის კლუბში. მოუწევთ ინდივიდუალური მუშაობა.

მე კი ჩემთვის უკვე გამოვკვეთე ნაკრების ბირთვი. დაახლოებით 6-7 კაცს, თუ რა თქმა უნდა, რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ინგლისში ნამდვილად წავიყვან. მათი დასახელებისგან ამჯერად თავს შევიკავებ.

ბესიკ ლიპარტელიანი,
ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი

# ბაქრაძემ «ვითა» ამჯობინა

**ირაკლი ბაქრაძემ საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ პირველი ოფიციალური მატჩი „ვითას" შემადგენლობაში ითამაშა „თორსის" წინააღმდეგ. ეს ბლიც-ინტერვიუც მაშინ შედგა.**



— **რატომ აღმოჩნდით მაინცდამაინც „ვითაში"?**

— მოგეხსენებათ, „ვითა" ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდია. ნაკრებში მეც ვირიცხები და მის წევრებთან შეთამაშების მიზნით აქ მოსვლა ვამჯობინე. ვფიქრობ, საერთო საქმისთვის ასე უკეთესია. ისე, მქონდა მოწვევები სხვა გუნდებიდანაც, კერძოდ, „დინამოდან".

— **დღეს, სამი წლის შემდეგ, პირველად ითამაშეთ საქართველოს ჩემპიონატში. ყველაზე მეტად თვალშისაცემად რა მოგეჩვენათ?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დღევანდელი მეტოქე ჩემპიონობის პრეტენდენტი არ არის, იგრძნობა, რომ პირველობას მეტი ფასი დაედო. მაყურებელიც საკმაოა და თამაშს სულ სხვა ელფერი ეძლევა.

— **ეს თქვენი ფორმის პიკია?**

— კარგი ფორმიდან ძალიან შორს ვარ. პირველ რიგში, ფიზმომზადება მაკლია. დასახვეწი მაქვს ტექნიკური არსენალიც. ახალ პარტნიორებთან შეთამაშებაზე ხომ აღარაფერს ვამბობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

# ჟელკო «ოთხთა ფინალშია»

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. 9 მარტი.

ბაკლერი (ბოლონია, იტალია) — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) 85:68; სკავოლინი (პეზარო, იტალია) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 68:55; ციბონა (ზაგრები, ხორვატია) — რეალ-მადრიდი (ესპანეთი) 78:82; ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) 95:65.

ამ დღეს ბერძნებს „შავი ხუთშაბათი" გაუთენდათ, ოღონდ სხვადასხვა მიზეზების გამო. „პანათინაიკოსმა" შეატყო, რომ მატჩის გადასარჩენად მთელი ძალა უნდა დაეხარჯა და შეგნებულად აღარ გაამწვავა, რითაც საპასუხო შეხვედრისთვის შეინახა თავი. სამაგიეროდ, „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელმა იანის იოანიდისმა აუგო საკუთარი ხელით წესი საკუთარ გუნდს: მე-7 წუთზე, როცა 11 ქულას იგებდა, ძირითადი შემადგენლობა სკამზე დასვა და შემდეგ, მთელი მატჩის მსვლელობაში, ერთი ხეირიანი შეცვლაც ვერ გააკეთა. მაინცდამაინც არც მისი შეგირდები ბრწყინავდნენ: მთელი გუნდი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ბურთს ხელში ვერ იჭერდა. ერთმა კისურინმა სამი პირეოსელი — ვოლკოვი, ფახულასი და ტარლაცი ფარს არ გააკარა. კარასიოკმა და კუდელინმა კი, საიდანაც მოისურვეს, იქიდან ჩააგდეს.

უშუალოდ მატჩის წინა დღეებში „ციბონას" ერთადერთი ლეგიონერი — ამერიკელი ჯეროდ აბრამი შარში გაეხვა: სურდოს წამლობისას ისეთი პრეპარატი მიიღო, ეფედრინს რომ შეიცავდა. აბრამმა აღიარა დოპინგის გამოყენების ფაქტი, ისიც დააყოლა, ყველაფერი შეუგნებლად გავაკეთეო და დისკვალიფიკაციის მინიმალურ ვადასაც მიაღწია. ამან უფრო დააკნინა ხორვატების ისედაც მინიმალური შანსები

მეორე მატჩები. 14 მარტი.

ლიმოჟი — სკავოლინი 79:66; პანათინაიკოსი — ბაკლერი 63:55; რეალ-მადრიდი — ციბონა 82:70; ოლიმპიაკოსი — ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) 86:77.

ორ მატჩში მხოლოდ „რეალმა" გაინაღდა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ნახევარფინალში, ანუ „ოთხთა ფინალში" გასვლა. ეს მოხდა ყოველგვარი დაძაბვისა და აღელვების გარეშე. სამაგიეროდ, დიდი ჯაფა დაადგა „პანათინაიკოსს", რომელმაც მატჩის ბოლოსკენ გატეხა იტალიელები. ათენელმა ჟარკო პასპალმა პირველი მატჩის ცოდვები მოინანია და 27 ქულა გააკეთა, ხოლო მისი მთავარი მეტოქე პრედრაგ დანილოვიჩი მხოლოდ 16 ქულას დასჯერდა.



„ციბონას" ორჯერ დამარცხების შემდეგ ჟელიმირ ობრადოვიჩის „რეალი" პირველი გავიდა „ოთხთა ფინალში"

„ლიმოჟში" მაიკლ იანგს წაუვიდა თამაში. როცა ასე ხდება, ფრანგების გუნდის შეჩერება თითქმის შეუძლებელია. ამერიკელმა 30 ქულა ჩააგდო. „სკავოლინიდან" საუკეთესო იყო კორი გეინზი (16 ქულა).

„ოლიმპიაკოსმა" აღარ მიმართა უცნაურ ექსპერიმენტებს, თუმცაღა ცსკა-ს დამარცხება მაინც გაუჭირდა.

მესამე, გადამწყვეტი მატჩები ლიმოჟში, ათენში და პირეოსში წუხელ გაიმართა.

ანტონ ერისთავი

## ევროპის საკლუბო თასი: «ბენეტონი»

ფინალი. 14 მარტი. სტამბოლი

ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) — ტაუგრესი (ვიტორია, ესპანეთი) 94:86 (43:38)

მე-16 წუთამდე მატჩი „ქულა-ქულაში" მიდიოდა და ალბათ ასეც გაგრძელდებოდა, რომ არა ტრევიზოლები რიკარდო პიტისი და ორლანდო ვულრიჯი. ამ დროს მათ ზედიზედ ორი ბურთი ჩააგდეს, რასაც მოჰყვა „ბენეტონის" მაკედონელი გამთამაშებლის ნაუმოსკის სამქულიანი. 1,07 წუთიანი მონაკვეთი იტალიელებმა 7:0 მოიგეს და 37:28 დაწინაურდნენ. ესპანელებმა შესვენებამდე მხოლოდ 4 ქულის გაქვითვა შეძლეს. ხორვატმა ველიმირ პერასოვიჩმა საჯარიმოები ისროლა ზუსტად. პირველ ტაიმში ორივე გუნდიდან ყველაზე შედეგიანი იყო ვულრიჯი — 12 ქულა.

ეს ხუთქულიანი სხვაობა მთელი მეორე ტაიმის მანძილზე შენარჩუნდა. თუმცა „ტაუგრესს" ეს ხუან აბადის, პერასოვიჩის და რამონ რივასის ხუთ-ხუთ პერსონალურად დაუჯდა. ამ უკანასკნელმა მოედანი მაშინ დატოვა, როცა იტალიელები 87:84 იგებდნენ და საფინალო სირენამდე 30 წამილა რჩებოდა.

ამ 30 წამში ბევრი რამ მოხდა. ნაუმოსკიმ ბურთი წამოიღო, მოედნის შუახაზთან კენეტ გრინი უხეშად ეთამაშა მას. მსაჯმა ჩათვალა, რომ ეს იყო „განზრახ ჯარიმა" და მაკედონელს ორი ჩაგდებული საჯარიმოს შემდეგ ბურთი კვლავ „ბენეტონს" დაუბრუნა. ამჯერად რაგაციმ მიიღო ბურთი, კვლავ ჯარიმა და 91:84. ესპანელებს მორიგი შეტევა ჩაეშალათ და ვულრიჯმა, ვისაც თავის დროზე მეჯიქ ჯონსონისა და ქარიმ აბდულ-ჯაბარის გვერდით უთამაშია, მძლავრად ჩატენა. ბოლო წამზე კი ნაუმოსკიზე კვლავ „განზრახ ჯარიმით" ითამაშეს, ოღონდ ამან ერთი საჯარიმოლა გამოიყენა. საბოლოოდ, ნაუმოსკის 23 ქულა დაუგროვდა, ვულრიჯს — 26.

თუმცა, იმ ერთ საჯარიმოს პრინციპული მნიშვნელობა არც ჰქონდა. წარსულში ცნობილი კალათბურთელის, ევროპის ჩემპიონის მაიკ დ ანტონის შეგირდებმა გაიმარჯვეს და პირველად მოაგებინეს „ბენეტონს" ევროპული თასი.



ორლანდო ვულრიჯი

დაიბადა 1959 წლის 16 დეკემბერს მანსფილდში (ლუიზიანა).
სიმაღლე 205 სმ, წონა 96 კგ.
უნივერსიტეტი: ნოტრ დამი
დრაფტი: 1981 წლის პირველი წრის მე-6 ნომერი.
კლუბები: ჩიკაგო ბულზი, ნიუ-ჯერსი ნეტსი, ლოს-ანჯელეს ლეიკერზი, დენვერ ნაგიტსი, ფილადელფია-76. ბენეტონშია 1994 წლიდან

## კორაჩის თასი: «ალბა-ბერლინი»

ფინალი. პირველი მატჩი. 8 მარტი

სტეფანელი (მილანი, იტალია) — ალბა-ბერლინი (გერმანია) 87:87

მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე „სტეფანელის" ცენტრმა, NBA-ში ნათამაშებმა ალ ქესლერმა უჩუმრად გუდა-ნაბადი აიკრა და 200 ათას დოლართან ერთად მშობლიურ ამერიკაში გაუჩინარდა. ევროპული კალათბურთის თანამედროვე ტრადიციის მიხედვით, მთავარი პირები ამ თამაშშიც იუგები იყვნენ: იტალიელთა მხრივ დეიან ბოდიროგა, გერმანელთაგან — საშა ობრადოვიჩი და ტეომან ალიბეგოვიჩი. ამათ ერთმანეთთან ჭიდილში მატჩი ფრედ დაასრულეს.

მეორე მატჩი. 15 მარტი

ალბა-ბერლინი — სტეფანელი 85:79

„ალბამ" პირველი ტაიმი 47:48 წააგო, მაგრამ მეორეში იძალა და საბოლოოდ ევროთასის მფლობელი პირველი გერმანული გუნდი გახდა.

## ესპანეთის ჩემპიონატი

31-ე ტური. 12 მარტი.

ბრეოგანი (ლუგო) — ტაუგრესი (ვიტორია) 102:116, ფორუმი (ვალიადოლიდი) — კასერესი 85:90, რეალ-მადრიდი — ბარსელონა 86:89, სალამანკა — უნიკახა (მალაგა) 81:84, სომონტანო (უესკა) — ლეონი 75:87, კახა სან-ფერნანდო (სევილია) — მურსია 91:116, ტდკ (მანრესა) — ფესტინა (ანდორა) 70:77, ხუვენტუდი (ბადალონა) — ესტუდიანტესი (მადრიდი) 91:85, ვალვი (ხირონა) — პამესა (ვალენსია) 94:95, ამვაი (სარაგოსა) — კორენი (ორენსე) 95:98

ტურის მთავარი მატჩი გაიმართა მადრიდში, სადაც „რეალმა" ჩემპიონატის ლიდერს უმასპინძლა. კატალონიელებმა თავიდანვე ზონური დაცვა არჩიეს და მასპინძელთა ცენტრი საბონისი ფარიდან შორს აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ლიტველმა 41 ქულა გააკეთა. „ბარსა" დამთავრებამდე 4 წუთით ადრე 12 ქულას იგებდა. აქ „რეალმა" არლაუსკასის და კარგოლის წყალობით შტურმი დაიწყო და კიდევ ორი წამი რომ ჰქონოდა, მატჩს ოვერტაიმში გადაიყვანდა... საბონისის ნასროლი სამქულიანი კი ჩავარდა, მაგრამ დრო მაშინ დამთავრდა, როცა ამან ბურთი მიიღო... „ბარსელონადან" ყველაზე მეტი ქულა გააკეთეს მიდლტონმა (19) და მონტერომ (14).

| | თ | მ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 31 | 25 | 6 | 2641-2373 |
| ტაუგრესი | 31 | 20 | 11 | 2653-2543 |
| უნიკახა | 31 | 19 | 12 | 2563-2497 |
| რეალი | 31 | 18 | 13 | 2466-2302 |
| ფესტინა | 31 | 18 | 13 | 2467-2442 |
| ამვაი | 31 | 18 | 13 | 2777-2737 |
| ტდკ | 31 | 18 | 13 | 2432-2331 |
| სან-ფერნანდო | 31 | 17 | 14 | 2446-2439 |
| ლეონი | 31 | 16 | 15 | 2382-2309 |
| ესტუდიანტესი | 31 | 15 | 16 | 2590-2575 |
| ფორუმი | 31 | 15 | 16 | 2542-2556 |
| ხუვენტუდი | 31 | 15 | 16 | 2416-2456 |
| მურსია | 31 | 15 | 16 | 2596-2606 |
| კასერესი | 31 | 14 | 17 | 2415-2488 |
| სალამანკა | 31 | 13 | 18 | 2306-2382 |
| პამესა | 31 | 13 | 18 | 2510-2573 |
| კორენი | 31 | 13 | 18 | 2424-2525 |
| ვალვი | 31 | 12 | 19 | 2351-2435 |
| უესკა | 31 | 11 | 20 | 2410-2535 |
| ბრეოგანი | 31 | 5 | 26 | 2347-2624 |

ბომბარდირებში ლიდერობს ოსკარ შმიდტი (ფორუმი) — 725 ქულა

## იტალიის ჩემპიონატი

27-ე ტური. 11-12 მარტი

სკავოლინი (პეზარო) — კაჯივა (ვარეზე) 94:98 (კომაზეცი „კ" — 37); ბენეტონი (ტრევიზო) — ტეორემატური (რომი) 97:74 (ვილიამსი „ტ"-26); მეტასისტემი (რეჯიო-ემილია) — ბაკლერი (ბოლონია) 65:88 (დანილოვიჩი „ბ"-28); სტეფანელი (მილანი) — ბირექსი (ვერონა) 98:74; კომერსონი (სიენა) —ილიკაფე (ტრიესტი) 76:74; ფიზერი (რეჯიო-კალაბრია) — მადიგანი (პისტოია) 76:78; პანაპესკა (მონტეკატინი) — ფილოდორო (ბოლონია) 88:92

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ბაკლერი | 27 | 20 | 7 | 2306-2149 | 40 |
| ფილოდორო | 27 | 20 | 7 | 2298-2140 | 40 |
| კაჯივა | 27 | 19 | 8 | 2462-2279 | 38 |
| სტეფანელი | 27 | 18 | 9 | 2362-2202 | 36 |
| სკავოლინი | 27 | 18 | 9 | 2299-2183 | 36 |
| ბენეტონი | 27 | 17 | 10 | 2312-2108 | 34 |
| ბირექსი | 27 | 16 | 11 | 2212-2223 | 32 |
| ტეორემატური | 27 | 15 | 12 | 2180-2251 | 30 |
| კომერსონი | 27 | 12 | 15 | 2045-2094 | 24 |
| მადიგანი | 27 | 10 | 17 | 2227-2312 | 20 |
| ფიზერი | 27 | 9 | 18 | 2213-2357 | 18 |
| ილიკაფე | 27 | 8 | 19 | 2199-2332 | 16 |
| პანაპესკა | 27 | 4 | 23 | 2281-2488 | 8 |
| მეტასისტემი | 27 | 3 | 24 | 2149-2460 | 6 |

ბომბარდირები:

არიან კომაზეცი (კაჯივა) — 935
მაიკ მიტჩელი (მეტასისტემი) — 784
ჰენრი ვილიამსი (ბირექსი) — 678
პრედრაგ დანილოვიჩი (ბაკლერი) — 651

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

პარასკევი, 10 მარტი

ბოსტონ სელტიქსი — ნიუ-ჯერსი ნეტსი 81:111; ფილადელფია-76 — სან-ანტონიო სფურზი 94:100; ვაშინგტონ ბულიტსი — მილუოკი ბაქსი 111:114; ორლანდო მეჯიქი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 97:85; ატლანტა ჰოქსი — ნიუ-იორკ ნიქსი 108:81; დეტროიტ პისტონზი — დენვერ ნაგითსი 88:99; ჩიკაგო ბულზი — კლივლენდ კავალიერზი 99:76; მინესოტა ტიმბერვულვზი — ლოს-ანჯელეს ლეიკერზი 109:103; იუტა ჯაზი — საკრამენტო კინგზი 110:93; ფინიქს სანზი — ინდიანა პეისერზი 97:112; ლოს-ანჯელეს კლიპერზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 121:102.

შაბათი, 11 მარტი

ნიუ-იორკ ნიქსი — სიეტლ სუპერსონიქსი 84:96; ვაშინგტოს ბულიტსი — ნიუ-ჯერსი ნეტსი 110:102; შარლოტ ჰორნეტსი — მაიამი ჰითი 104:95; ჩიკაგო ბულზი — ლოს-ანჯელეს ლეიკერზი 105:108; ჰიუსტონ როკიტსი — დალას მავერიქსი 109:102.

კვირა, 12 მარტი

ბოსტონ სელტიქსი — ატლანტა ჰოქსი 98:104; ფილადელფია-76 — კლივლენდ კავალიერზი 72:92; ორლანდო მეჯიქი — სან ანტონიო სფურზი 110:104; მაიამი ჰითი — იუტა ჯაზი 86:96; დეტროიტ პისტონზი — სიეტლ სუპერსონიქსი 94:134; მილუოკი ბაქსი — დენვერ ნაგითსი 93:109; მინესოტა ტიმბერვულვზი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 88:102; ფინიქს სანზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 117:124; ლოს-ანჯელეს კლიპერზი — საკრამენტო კინგზი 93:105.

ორშაბათი, 13 მარტი

შარლოტ ჰორნეტსი — ვაშინგტონ ბულიტსი 103:106; ატლანტა ჰოქსი — ჰიუსტონ როკიტსი 86:97; ლოს ანჯელეს ლეიკერზი— ინდიანა პეისერზი 93:91; გოლდენ სტეიტ ვორიორზი — დალას მავერიქსი 130:125.

სამშაბათი, 14 მარტი

ნიუ-იორკ ნიქსი — დენვერ ნაგითსი 94:74; ფილადელფია-76 — ჰიუსტონ როკიტსი 107:136; ვაშინგტონ ბულიტსი — ჩიკაგო ბულზი 93:106; ორლანდო მეჯიქი — იუტა ჯაზი 95:107; მილუოკი ბაქსი — შარლოტ ჰორნეტსი 99:86; სან-ანტონიო სფურზი — მინესოტა ტიმბერვულვზი 115:100; ფინიქს სანზი — დეტროიტ პისტონზი 116:109; საკრამენტო კინგზი — დალას მავერიქსი 90:91; პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — მაიამი ჰითი 121:114; სიეტლ სუპერსონიქსი — ბოსტონ სელტიქსი 113:93.

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | % |
|---|---|
| ორლანდო მეჯიქი * | 762 |
| ნიუ-იორკ ნიქსი | 656 |
| ნიუ-ჯერსი ნეთსი | 403 |
| ბოსტონ სელტიქსი | 387 |
| მაიამი ჰითი | 371 |
| ფილადელფია-76 | 274 |
| ვაშინგტონ ბულიტსი | 274 |

ცენტრალური დივიზიონი

| | |
|---|---|
| შარლოტ ჰორნეტსი | 619 |
| ინდიანა პეისერზი | 607 |
| კლივლენდ კავალიერზი | 574 |
| ჩიკაგო ბულზი | 508 |
| ატლანტა ჰოქსი | 500 |
| მილუოკი ბაქსი | 386 |
| დეტროიტ პისტონზი | 371 |

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

| | |
|---|---|
| იუტა ჯაზი * | 746 |
| სან-ანტონიო სფურზი | 700 |
| ჰიუსტონ როკიტსი | 613 |
| დენვერ ნაგითსი | 468 |
| დალას მავერიქსი | 400 |
| მინესოტა ტიმბერვულვზი | 270 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | |
|---|---|
| ფინიქს სანზი * | 746 |
| სიეტლ სუპერსონიქსი | 689 |
| ლოს-ანჯელეს ლეიკერზი | 632 |
| პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი | 557 |
| საკრამენტო კინგზი | 452 |
| გოლდენ სტეიტ ვორიორზი | 311 |
| ლოს-ანჯელეს კლიპერზი | 200 |

* - უკვე გავიდა პლეი-ოფში

# რეჯი ლუისი — მაოხრებელი მკვდარი



1993 წლის 29 აპრილი. რეჯი ლუისის ბოლო მატჩი. იგი ეს-ესაა გონს მოვიდა

9 მარტს ამერიკაში მორიგი სკანდალური სენსაცია აგორდა: „უოლ სტრიტ ჯორნალმა" დაწერა, რომ "ბოსტონ სელტიქსის" აწგარდაცვლილი ფორვარდი რეჯი ლუისი კოკაინს ეტანებოდა. კლუბმა ეს იცოდა და მალავდა, ამიტომაც მოკვდა რეჯი მოედანზეო.

რეჯი ლუისი ვარჯიშისას მოედანზე გარდაიცვალა 1993 წლის 27 ივლისს. მაშინ დიაგნოზად გულის უკმარისობა დაადგინეს. ახლა კი, აგერ, ახალი ვერსია.

ამ განცხადებამ მეტისმეტად აღაშფოთა „ბოსტონ სელტიქსის" ხელმძღვანელობა. პასუხიც იმავე დღეს გახდა ცნობილი: „სელტიქსმა" გადაწყვიტა სასამართლოში უჩივლოს „უოლ სტრიტ ჯორნალს". მორალური ზარალის ასანაზღაურებლად კლუბი 100 მილიონ დოლარს მოითხოვს.

„ბოსტონის" გენერალური მენეჯერის პოლ გასტონის თქმით, როცა 1993 წლის 29 აპრილს ლუისმა „შარლოტთან" მატჩის დროს გონება დაკარგა, აქედან მოყოლებული სიკვდილამდე კლუბი მას მკურნალობდა და 15 მილიონ დოლარად დაზღვეულიც გვყავდაო. კოკაინის ამბავი რომ გვცოდნოდა, როგორ დავმალავდითო. „სელტიქსის" სხვა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რეჯი ინტელიგენტი კაცი და კეთილშობილი პიროვნება იყო, როგორ იკადრებდა კოკაინთან საქმის დაჭერასო. რეჯი ლუისის ქვრივმა დონამ აღშფოთება გამოთქვა, კაცი საფლავში დააყენეთ, მკვდარს მაინც დაანებეთ თავი და სისულელეების ჩმახვას შეეშვითო. საყოველთაო განრისხება ვერ დაფარა კორექტულობით, ზრდილობით და დიპლომატიით განთქმულმა NBA-ის სამდივნომ. მან საჯაროდ გალანძღა „უოლ სტრიტ ჯორნალი" და „სელტიქსს" მოუწოდა, ეგ საქმე უყურადღებოდ არ დატოვოთ და ბოლომდე მიიყვანეთო.

მძლეოსნობა

# „ფულები, ფულები, ჩემო ფულები...“

მას შემდეგ, რაც ბარსელონის ჭერქვეშა მსოფლიო პირველობას ჯონსონმა, მიჩელმა, ტორენსმა, ჯეკი ჯოინერ-ქერზიმ და თვით ლინფორდ ქრისტიმაც ბოიკოტი გამოუცხადეს, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (იააფ) კენიელი სტაიერის, მოუზეს კიპტანუის იმედადღა იყო, მაგრამ შეჯიბრების დაწყებამდე სამი დღე რომ დარჩა, ამანაც იუარა მონაწილეობა.

ვარსკვლავთა ლიანგური უარის საბაბი ის იყო, რომ ჭერქვეშა პირველობა თურმე უდროოდ ყოფილა დანიშნული, რაც მძლეოსნებს აგვისტოსათვის დაგეგმილი ნაღდი ჩემპიონატისათვის სპორტული ფორმის პიკის მიღწევას გაუძნელებს. მიზეზი ბევრად უფრო პროზაული ყოფილა — ფული. იააფ-ის მაფიოზო პრეზიდენტს, იტალიელ პრიმო ნებიოლოს აქამდე კიდევ გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ოლიმპიადებისა და დიდი ჩემპიონატების გამარჯვებულებს ოდენ ტიტულები და ფასიანი საჩუქრები უნდა ეკმარათ და ფული აღარ



მორსელის რამაზანისთვის უმარხულია

მოეთხოვათ. ამიტომ ყოფილა, „გრან-პრის“ შეჯიბრებებზე ფულს რომ არიგებდნენ, „ოქროს ოთხეულისაზე“ — ოქროს ზოდებს, 1993 წლის შტუტგარტის მსოფლიო პირველობაზე კი — ოდენ მედლებსა და თუმცაკი ახალს, მაგრამ მაინც „მერსედესებს“.

ნაჩემპიონატევს გაირკვა, რომ იააფ-ს ჭკუა უსწავლია. ფული ამიერიდან ყველა დიდ ჩემპიონატზე დარიგდება. საამისოდ ნებიოლომ ნებართვა თურმე თვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შეფს, ბარსელონელ ხუან ანტონიო სამარანჩს უნდა გამოსთხოვოს. ამ დონის უახლოესი შეჯიბრება გეტებორგის (შვედეთი) მსოფლიო პირველობაა.

იააფ-ი კიდევ ერთი სიახლის დანერგვას გეგმავს. ვინაიდან შარდის სინჯის მანიპულირება ან სხვის მაგივრად ჩაბარება ხერხდებოდა, დოპინგ-კონტროლის აქამდე მოქმედი მეთოდიკა აბსოლუტურად სარწმუნო ვერ იყო — მით უფრო, შეჯიბრებათაშორის პერიოდში. ამიერიდან წესად შემოვა სისხლის სინჯის აღება, რაც ყალბისმქმნელებს გზას საბოლოოდ მოუჭრის. ასეთი ტესტი შარშან, „ოქროს ოთხეულში“ უკვე შემოუღიათ, მაგრამ იურიდიულ პრობლემებს გადააჰყრიან: ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად გერმანიის კანონმდებლობით სისხლის სინჯის იძულებით აღება სხეულის დაზიანებად მიიჩნევა.

ზედ შეჯიბრების წინ იააფ-მა კიდევ ერთი ბობოლა მოიხაკლისა, ოღონდ ერთობ ორიგინალური საბაბით: 1 500 მეტრზე რბენის მსოფლიო რეკორდსმენმა, ალჟირელმა ნურადინ მორსელიმ თავი იმართლა, რამაზანის წინა მარხვამ ერთობ გამომფიტა, რის გამოც ვერ ვიასპარეზებო. ერთი სიტყვით, დიდი შეჯიბრებების დაგეგმვისას იააფ-ს სამერმისოდ რამაზანისა და მისთანათა გათვალისწინებაც მართებს.

სპრინტერ ლინფორდ ქრისტის უარი რომ შეიტყვეს, ბრიტანელებმა მისი ადგილი ახალგაზრდა მაიკ როსვერსს დაუთმეს. მერე და მერე ნებიოლომ ქრისტის პირადად მოუწოდა, მალე ფულად ჯილდოებსაც დავაწესებთ, ახლა კი პატივი დაგვდე და მუქთად ირბინეო. სულ ამაოდ: ხმა აღიმაღლა ბრიტანეთის მძლეოსნობის ასოციაციის პრეზიდენტმა პოლ არნოლდმა, აქაო და ვარსკვლავის ჭირვეულობის გამო ჯეელ მორბენალს ვერ ვაწყენინებთ და ვეღარ ვეტყვით, ქრისტიმ გადაიფიქრა და ამიტომ შენ გუნდიდან უნდა გაგრიცხოთო. თუ ნებიოლოს აგრე სწადია ქრისტის ასპარეზობა, პირადად მიიწვიოსო. ნებიოლომ ჩაიხედა იააფ-ის წესებში და გაარკვია, რომ პირადად მიწვევა მის ორგანიზაციას, ჩოგბურთისაგან განსხვავებით, წესად არა ჰქონია.

ქრისტი მაინც ამ მოაკლდა შეჯიბრებას — ბი-ბი-სის რადიოკომენტატორად წაიმუშავა, მის სახეობაში — 60 მეტრზე რბენაში კი 6,45 წამით გაიმარჯვა წარმოშობით პაიტელმა, აწ კი კანადელმა ბრუნი სურინმა, რომელიც ამ დისტანციაზე წინა, ტორონტოს ჭერქვეშა მსოფლიო პირველობაზეც პირველი ყოფილა. ქრისტის თანაგუნდელმა დარენ ბრეითვეითმა 6,51-ით მეორე ადგილი დაიკავა.

ქალთაგან იმავე დისტანციაზე იმარჯვა „კარიბეთის დედოფლად“ ცნობილმა და „მძლეოსნობის უპირველეს დესპანად“ შერაცხულმა იამაიკელმა მერლინ ოთიმ. ფინიშთან იგი 6,97 წამში მიიჭრა და 13 მეასედით აჯობა გერმანელ მდევარ მელანი პაშკეს. ამ გამარჯვებით ოთიმ ჭერქვეშ მანამდე მოხვეჭილ ვერცხლსა და ბრინჯაოს ოქროც შემატა და კოლექცია გაისრულა.

ოთიმ ისე დამაჯერებლად მოიგო, რომ ცხადი შეიქნა, თუ რად განერიდა რუსი ირინა პრივალოვა, რომელიც 400 მეტრზე რბენაში ხელოვნდება. პრივალოვამ პირველობის ბოლო, მესამე დღეს, კვირას 50,23 წამით გაიმარჯვა. ისე კი, „პალას სან ჟორდის“ ასპარეზი მორბენლებს არ მოსწონებიათ, ვინაიდან ერთობ გრძელი სწორი მონაკვეთები ჰქონია, მოსახვევები კი — მეტისმეტად ვიწრო.


მერლინ ოთი

თავი ისახელა მოზამბიკელმა მარია მუტოლამაც. ოთხი წლის წინ მაშინ 18 წლის ქალი განერიდა სამოქალაქო ომით მოცულ ქვეყანას და სოკ-ის სტიპენდიის წყალობით ორეგონის შტატის ქალაქ იუჯინში დაფუძნდა. შარშანწინ მუტოლამ 800 მეტრზე რბენა ორივე — ჭერქვეშა და გარეთა მსოფლიო პირველობაზე მოიგო, ბარსელონაში კი შეჯიბრებებში ზედიზედ 41-ედ გაიმარჯვა. თუ მარიას ერთ დროს სარბენი წაღების შესაძენი ფული არა ჰქონია, ახლა თურმე ფულს იქეთ აძლევენ, მავანი მწარმოებლის წაღები რომ ჩაიცვას და რეკლამაც გაუწიოს. მიუხედავად ამისა, მორბენალი არ გაყოყოჩებულა და კვლავაც მოზამბიკის ერთგული რჩება — სამშობლოს სახელის შორს გატქმა ყოველგვარ ფულს ურჩევნია. აშშ-ში სწავლით ტაქტიკაც დაუხვეწია: თურმე ისე თავდაჯერებულია, რომ სტარტიდანვე წინ გაიჭრება და ფინიშამდე შეუცვლელად ლიდერობს.

ბარსელონელებს კარგად ხსომებიათ 1992 წლის ოლიმპიადაზე მათიანი ფერმინ კაჩოს გამარჯვება. რჩეულისაგან 1 500 მეტრზე ახლაც ოქროს გამოელოდნენ, მაგრამ სულ ტყუილად. მართალია, „სან ჟორდიში“ არც აუიტა ასპარეზობდა და არც მორსელი, მაგრამ მაღრიბული ტრადიცია გააგრძელა 20 წლის მაროკოელმა ხიშამ ელ გარუშმა, რომელიც 500 მეტრის გარბენის შემდეგ წინ გაიჭრა და კარგადაც მოიგო (3.44,54). მასპინძელი ბოლო 100 მეტრამდე მეორე მირბოდა, მაგრამ საბოლოოდ ფინიშთან მეექვსემ მიაღწია.

შეჯიბრებაზე ერთადერთი მსოფლიო რეკორდი დამყარდა, ისიც — ახალ სახეობაში, ქალთა სამხტომში. 15,03 მეტრით იმარჯვა 34 წლის რუსმა იოლანდა ჩენმა, ვინაც ძველი მიღწევა 13 სანტიმეტრით გააუმჯობესა. აღსანიშნავია, რომ იოლანდას მამაც მხტომელი ყოფილა, ოღონდაც 1950-იან წლებში.

ვაჟთა სამხტომში ფრიადი შედეგები აღინუსხა. მძლეოსნობის ისტორიაში მეოთხე შედეგით — 17,72 მეტრით გაიმარჯვა 27 წლის ბერმუდელმა ბრენდან ვულმანმა. ვაჟთა 800 მეტრზე რბენაც კარიბელმა მოიგო: მართალია, იამაიკელი კლაივ ტერლონგი ნახევარფინალში მოხსნეს მეტოქისათვის გზის შეკვრისა და ბიძგებისათვის, მაგრამ მისმა უფროსობამ იჩივლა და მორბენალი ფინალში დააშვებინა. იქ ტერლონგი 1.47,13-ით ჩემპიონი გახდა.

სხვაფრივ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჭოკით ხტომა მოიგო უკრაინელმა სერგეი ბუბკამ (590 სმ), სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა შეჯიბრში მესამედ გაიმარჯვა კუბელმა ხავიერ სოტომაიორმა, ქალთაგან კი ახლახანს გაგერმანელებული რუმინელი ალინა ასტაფეი 201 სანტიმეტრზე ახტა და ორი სანტიმეტრით აჯობა გერმანელ ჰაიკე ჰენკელს.

შემდეგი ჭერქვეშა პირველობა 1997 წელს ოსლოში გაიმართება.

მიხო ნინუა

ჩოგბურთი

# დოსტები მორიგდნენ

კალიფორნიაში, ინდიან-ველზში, ქალებისკვალად ვაჟებმაც იასპარეზეს, ოღონდაც „ჩემპიონთა თასისთვის“. ტურნირი ორშაბათს, 13 მარტს დასრულდა პირველი და მეორე ნომრების — პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის ფინალით, რომელიც უდაბნოს ხვატში დაიწყო და პროჟექტორების შუქზე დამთავრდა. სამპრასმა 18 ეისი მოაწოდა, მიწაზე დაუცემლადაც უკეთ ურტყა და 7:5, 6:3, 7:5 გაიმარჯვა, რითაც ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში წაგებისათვის რევანშიც აიღო და წელს პირველი ტიტულიც მოიპოვა. პიტს გამარჯვება ორმაგად წაადგება: ერთი, რომ ბოლო ხანებში აგასი სჯობდა და კლასიფიკაციის პირველი საფეხურიდან ჩამოგდებასაც უპირებდა; მეორეც, მოწაფის მოგება მალამოდ მოეცხება მწვრთნელის, თიმ გალიქსონის მტკივან გულს, მელბურნში რომ შეუტია და შეგირდი აგასის რომ შეატოვა.

მანამდე, ნახევარფინალში სამპრასმა 4:6, 6:3, 6:4 მოუგო შვედ სტეფან ედბერგს, აგასიმ — 6:4, 7:6 გერმანელ ბორის ბეკერს. უფრო ადრე, მეოთხედფინალში სამპრასმა აჯობა ტოდ მარტინს (აშშ), აგასიმ — ვეინ ფერერას (სამხრეთი აფრიკა), ბეკერმა — მაგნუს ლარსონს (შვედეთი), ედბერგმა — თომას მუსტერს (ავსტრია). კიდევ უფრო ადრე მუსტერმა დაამარცხა ჩანგი (აშშ), ედბერგმა — ბერესატეგი (ესპანეთი), სამპრასმა — რაფტერი (ავსტრალია), ლარსონმა — შტიხი (გერმანია). ორგზის ჩემპიონ კურიეს (9) 7:6, 6:3 ადრევე მოუგო ესპანელმა კარლოს კოსტამ, აგასიმ კი სტარტზე ოდესმე ძლიერი შვედი მატს ვილანდერი 6:0, 6:2 გაანადგურა, მერე კი შვედთა ახალი ტალღის წარმომადგენელს — თომას ენკვისტს 6:1, 6:3 მოუგო, სამპრასმა კი იმ სტადიაზე კიდევ ერთი შვედი — იონას ბიორკმანი 6:3, 7:6 დაამარცხა.

შეჯიბრების დღეებში გამოცხადდა, რომ სამპრასი და აგასი ადრევე მორიგებულან ტელეფონით, რომ დევისის თასზე იტალიის წინაალმდეგ მაინც იასპარეზონ. ამ ორ გრანდს თავისი ქვეყნის სახელით ერთად უკანასკნელად 1992 წლის გათამაშების ფინალში უასპარეზია და შვეიცარია დაუმარცხებია. გაჭირვეულებულ ვარსკვლავთა მორჯულება აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციის ახალი თავკაცის, ლეზ შნაიდერის დამსახურება ყოფილა, თიმ გალიქსონის ძმას — თომს კი, ვინაც ნაკრების კაპიტანია, პიტისა და ანდრეს გადაწყვეტილება ძლიერ გახარებია. ძველი მეტოქეები და დოსტები თურმე ამერიკიდან ლონდონს ჩაფრინდებიან, იქიდან კი — პალერმოს, რომლის თიხის კორტებზეც 31 მარტიდან 2 აპრილამდე იტალიელებს ანდრეა გაუდენცის ოსტატობისა და სიცილიელთა ქომაგობის იმედი ჰქონიათ. ამერიკელები წყვილში პამერსა და რენებერგს ათამაშებენ, რის გამოც კურიესათვის გუნდში ადგილი აღარ რჩება. ამას თავი შეუკავებია და არაფერი უთქვამს.

თუ ამერიკელებმა საქმე მოაგვარეს, გერმანიის გუნდში, რომელიც ჰოლანდიას უნდა ეწვიოს, ისევ შუღლმა იჩინა თავი. წინა კვირაში მიხაელ შტიხს დაუჩივლია, ფედერაცია ბეკერს ჩემზე 750 ათასი დოლარით მეტს რატომ უხდის დევისის თასზე მონაწილეობისთვისო, და თამაში უარებია.

**წინავე კვირაში** ქალთა ტურის ტურნირს ფლორიდა, დელრეი-ბიჩი მასპინძლობდა. ნახევარფინალებში შტეფი გრაფმა (გერმანია) დაამარცხა ანკე ჰუბერი (გერმანია), კონჩიტა მარტინესმა (ესპანეთი) — ბრენდა შულცი (ჰოლანდია). ფინალი გრაფმა 6:2, 6:4 მოიგო და კარიერის 84-ე ტიტული მოიხვეჭა, რითაც ყველა დროის ჩემპიონთა სიაში მესამე ადგილზე მყოფ ავსტრალიელ ივონ გულაგონგქაულის გაუსწორდა.

ირაკლი ნინუა

კრივი

# ბოუ ტაისონს იწვევს

28 წლის ამერიკელი მძიმეწონოსანი რიდიქ ბოუ ერთი პირობა მსოფლიოს ერთპიროვნული ჩემპიონი იყო, მაგრამ მენეჯერებმა ბრიტანელ ლენოქს ლუისთან შერკინება რომ ჩაუშალეს, კრივის მსოფლიო საბჭოს საჩემპიონო სარტყელს საჯაროდ სანაგვეში გადაუძახა და ზედაც დააწიტა. მერე იყო და ლას-ვეგასის რინგზე ევანდერ ჰოლიფილდმა სცემა და ერთბაშად ორი გაერთიანების — საერთაშორისო ფედერაციისა და მსოფლიო ასოციაციის ტიტულებიც დააკარგვინა.

მას აქეთ 16 თვე გავიდა. ბოუ დამდაბლდა და მეოთხე, ბოგანო გაერთიანების — მსოფლიო ორგანიზაციის ჩემპიონობის მოპოვება დაისახა მიზნად. არადა, ამერიკელი კრივზე მწერლები ბოუს თურმე თანამედროვეობის საუკეთესო (?!) მძიმეწონოსნად მიიჩნევენ.

შაბათს, 11 მარტს ბოუ ორგანიზაციის მიერ დანიშნულ საჩემპიონო შერკინებაში ამ გაერთიანების ჩემპიონს, ნიგერიელ ბრიტანელ ჰერბი ჰაიდს იმავე ლას-ვეგასში შეება. ბუქმეიქერებს ბოუ ფავორიტად მიაჩნდათ, მით უფრო, რომ მეტოქეზე 3 გოჯით (7,5 სანტიმეტრით) მაღალი და 27 გირვანქით (12,3 კილოთი) მძიმე იყო. ამერიკელებიც თავისიანის გამარჯვებას გეგმავდნენ. მათ არ ეთანხმებოდა ჰაიდის იმპრესარიო ბარი ჰერნი, რომელიც თავისს შეგირდს სტილს უქებდა, გამოცხადებული მუჰამედ ალია, რინგზე დაფარფატებს და მეტოქეებს გამანადგურებელი დარტყმებით უმასპინძლდებაო. გასათვალისწინებელი იყო ჰაიდის მიღწევებიც: პროფესიულ რინგზე გამართული 26 ბრძოლიდან 25 მოეგო ნოკაუტით, ანაც ტექნიკური ნოკაუტით.

შერკინების ჰონორარი მოკრძალებული იყო. თუ ჩემპიონი გაიმარჯვებდა, ოდენ სამ მილიონ დოლარს ჩაიჯიბავდა. პრეტენდენტის ნომინალური გასამრჯელო ერთი მილიონი იყო.

შერკინებამ, რომელიც ჩვენებური სათვალავით კვირა დილით, რვის ნახევარზე დაიწყო, ყველაფერი თავ-თავისს ადგილზე დააყენა. ზორზოხი ბოუ მძიმედ მოძრაობდა და საწყის ორ რაუნდში ჰაიდს ვერაფერი დააკლო. ჩემპიონმა პირველი დარტყმა მესამე რაუნდში გაუშვა და ნოკდაუნშიც აღმოჩნდა. მერე მოსიერეები მისი საცოდაობის მოწმეები შეიქნენ — ჰაიდმა კიდევ ხუთჯერ იწვნია ნოკდაუნი: ხან ჩაიმუხლებოდა, ხანაც ბაგირებზე მიესვენებოდა. მეექვსე რაუნდში ბრძოლა ნოკაუტით დასრულდა. ბოუმ მყის ინტერვიუების დარიგება დაიწყო, ჩაჩოქილი ჰაიდი კი სიმწრით ატირდა. ამის და მიუხედავად, შინ მაინც ორმილიონდოლარიანი ქისით გამოისტუმრეს.

ბოუ პირველი მოკრივეა, ვინაც სხვადასხვა დროს ოთხივე ვერსიით ყოფილა ჩემპიონი. მან დიდი გეგმები დააწყო — უნდა შეერკინოს მაიკ ტაისონს, ვისაც ციხიდან მარტის ბოლომდე გამოუშვებენ. ვინმე მაიკ ნიუმენი თურმე დღესვე ყაბულსაა, ტაისონის პირველივე შერკინებისათვის საპრიზო ფონდად 120 მილიონი დოლარი დადოს. ბრძოლაში გამოსაწვევად ბოუ ტაისონს ინდიანაპოლისის ციხეში უნდა ეწვიოს.

მანამდე კი მსოფლიოს მძიმეწონოსანი ჩემპიონები არიან: ჯორჯ ფორმენი (ფედერაციის აზრით), ოლივერ მაქქოლი (საბჭოს აზრით), რიდიქ ბოუ (ორგანიზაციის აზრით). რაც შეეხება ასოციაციას, მისი ტიტული ვაკანტურია.

**წინა კვირაში,** გალახვიდან 11 დღის თავზე, გონს მოსვლა იწყო ლონდონში მაიკ ბენის მიერ გვემულმა 27 წლის ამერიკელმა ზესაშუალოწონოსანმა ჯერალდ მაკლელანმა. მოკრივე მაცოცხლებელ აპარატს მოხსნეს. მაკლელანი თურმე უკვე თავად სუნთქავს და ხანდახან კიდეც იღვიძებს.

ვალერი ჯიქია

## აქეთური, იქითური

ავსტრალიაში „სიდნი მორნინგ ჰერალდმა“ მორიგი სენსაცია გამოაქვეყნა, აქაო და პოლიციამ აღმოაჩინა მხედართა, მწვრთნელთა და გარეშეთა საძმო, დოღების დროს რომ მამაძაღლობენ და დიდთან ფულსაც იგებენო. [illegible] ჩვეულებრივი ამბავია [illegible] იმ ქვეყანაში, სადაც [illegible] იმართება.

*

ამერიკელ კეტბურთელთა მაგალითმა, ეტყობა, გაფიცვის იშტაზე მოიყვანა ინგლისელი მოკრიკეტეები. საგრაფოთა მორიგი პირველობა მაისში იწყება, ამ შეჯიბრების 360 მონაწილე კი იმუქრება, ჩვენს-ჩვენს საგრაფოებს კონტრაქტზე ხელს არ მოვუწერთ, თუკი ნაკრების წევრებს მინიმალურ წლიურ გასამრჯელოდ 20 ათას გირვანქას არ დაუდგენთო. მოთამაშეები თავიანთ მოთხოვნას იმით ასაბუთებენ, რომ საგრაფოთა კრიკეტის საბჭოს შეჯიბრების ტელეტრანსლირების უფლების გაყიდვით მომავალი ოთხი წლისათვის 6 მილიონი გირვანქა შემოსავალი დაუბევდება.

*

სიდნეიში ოლიმპიადა 2000 წელს გაიმართება, მაგრამ ავსტრალიელებს ამთავითვე დაუჭერიათ თადარიგი. წინისწინისწინა კვირაში მათ ხელშეკრულება გაუფორმებიათ რუსეთთან, რომლის თანახმადაც სპორტში ცხოვლად ითანამშრომლებენ. ავსტრალიელებს თურმე პირველ რიგში რუს მძლეოსანთა, მოკრივეთა, მოჭიდავეთა, ძიუდოისტთა, ძალოსანთა და მსროლელთა მზადების საიდუმლოებათა გაგება სწადიათ — ვინიცობაა მოგვეწონოს და ჩვენს გარემოშიც გადმოვნერგოთო. ამ საქმისთვის ზღვისრეთელებს ერთი მილიონი დოლარი გადაუდიათ.

*

აფროსანთა „ამერიკის თასის“ მოცილეთა შეჯიბრში 8 მარტს გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. „ნიპონმა“ (სკიპერი ჯონ კაპლერი) 13 წამით აჯობა „რიოხა დელ ესპანიას“ (პედრო კამპოსი) და ცხრილში გაუსწრო „ფრანს 3“-ს, ვინაც „სიდნეი 95“ დაამარცხა. „ნიპონი“ ახლა შეეჯიბრება „თიმ ნიუ-ზილენდს“, მეორე ნახევარფინალში კი „ტაგ ჰოია“ (ქრის დიქსონი) ნაავარიები, მაგრამ შეკეთებული „ვან ოსტრეილიის“ (ჯონ ბერთრანთი) წინაალმდეგ ირბოლებს. თასის დამცველ მასპინძელთა შეჯიბრს ორი პრემიალური ქულით გააგრძელებს „იანგ ემერიქა“ (ქენეს მაჰონი), ერთით — „სთარზ ენდ სთრაიფზ“ (დენის ქონორი), ნული — ქალთა იახტა „მაითი მერი“. საკუთრივ თასის გათამაშების დაწყება, რომელშიც ამერიკელთა რჩეული იახტა ხუთ მოგებამდე უცხოურს უნდა შეეჯიბროს, 6 მაისისთვისაა დანიშნული.

*

წლის პირველი მნიშვნელოვანი ველორბოლა „პარიზი — ნიცა“ მოიგო ფრანგმა ლორან ჟალაბერმა. იგი მეორე ეტაპზე დაწინაურდა და რვა ეტაპის ჯამში წუთითა და 40 წამით აჯობა რუს ბობრიკს. მესამე ადგილზე შვეიცარიელი ზულე გავიდა.

*

შაბათს არგენტინის კურორტ მარდელ-პლატაში XII პან-ამერიკული თამაშები გახსნა ქვეყნის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა. რაკილა 1991 წელს კუბელებმა შინ, ჰავანაში გუნდური შეჯიბრი მოუგეს აშშ-ს, ამერიკელებმა ჭკუა ისწავლეს და არგენტინას კუბასთან შედარებით ორჯერ რიცხვმრავალი გუნდიც მოავლინეს, მაგრამ პირველსავე დღეს დაუგეგმავი მარცხი იწვნიეს: მათმა კეტბურთის გუნდმა, ერთიანად ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სტუდენტებისგან რომ შედგება, 4:6 წააგო მასპინძლებთან, რომელთა კეტბურთელობაც აქამდე ცოტა ვინმეს თუ გაეგონა.

*

ახალი ზელანდიის კრიკეტის ასწლოვანი იუბილე მასპინძლებს ჩაუმწარეს ლანკელმა სტუმრებმა, რომლებმაც ოთხშაბათს ნეიპირში დასრულებული ტესტი 241 გარბენით მოიგეს. შრი-ლანკა ტესტებს 1983 წლიდან თამაშობს, მაგრამ სტუმრად აქამდე ვერაფრით გაემარჯვა. ისტორიული მოგებით გახარებულმა აზიელებმა ბჭეების პალოები სუვენირებად დაიტაცეს. მათმა ახალბედა მომწოდებელმა ჩამინდა ვასმა ეროვნული რეკორდიც დაამყარა: 10 ტაფელოსანი გაგდო 90 გარბენის სანაცვლოდ.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
ინდექსი 66441

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „ძარღი“
რედაქციის მისამართი: თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 [illegible] წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 7[illegible], საფოსტო ყუთი 208

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (ტექნიკური რედაქტორი)
კომერციული დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
ტექნიკური დირექტორი კოტე იაშვილი